ცნობის ფურცელი

№ 2363 ხუთშაბათი, 25 დეკემბერი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2363

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირვ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხ ობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію **„Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“**. ტელეფონი № 372.

ამ ნომერში ექვსი გვერდია

დღესასწაულისა გამო შემდეგი № „ცნობ. ფურც.“-სა გამოვა კვირას, 28 დეკემბერს.

მიიღება ხელის მოწერა 1904 წლისათვის.

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი“

სურათებიანის დამატებით კვირაში ორჯელ

(წელიწადი მეცხრე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით

კავკასიასა და რუსეთში:	საზღვარ-გარეთ
1 წლით—6 მ., 6 თვით—4 მ., 1 თვით—50 კაპ.	1 წლით—9 მ. 6 თვით—5 მ., 1 თვით—90 კაპ.

თვიურ ხელის მომწერს სურათებიანი დამატება არ გაეგზავნება.

წლიური ფასის განაწილება: ხელის-მოწერისათანავე 4 მ. და დანარჩენიც 1-ლ მარტამდე.

ყოველ თვიური ჟურნალი

„მ ო ა მ ბ ე“

(წელიწადი მეთერთმეტე)

ფ ა ს ი ჟ უ რ ნ ა ლ ი ს ა

კავკასიასა და რუსეთში	საზღვარ-გარეთ.
1 წლით—10 მ., 6 თვით—6 მ., 3 თვით—3 მან.	1 წლით—13 მ., 6 თვით—7 მ., 3 თვით—5 მან.

ვინც „**მოამბეს**“ მთელის წლით გამოიწერს, **სურათებიანი დამატებანი** და „**ცნობის ფურცელი**“ უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მანეთი, რომელიც ხელის-მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი.

წლიურ ფასის განაწილება: პირველად—6 მან. ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის, და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3. მ., 1-ლ აგვისტომდე დანარჩენი.

როგორც „ცნობის ფურცლის“, ისე „მოამბის“ მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ პრემიად ყველა ნაწერები

ალ. ყაზბეგისა.

1904 წელს „ცნობის ფურცლის“ დამატებაში დაიწყება ბეჭდვა სურათებისა „საქართველოს ეტნოგრაფია და კულტურა სურათებში“, დასურათება დაიწყება **გურიიდან.** სურათები იქმნება ფოტოგრაფიით გადაღებული და კარანდაშით ნახატი ბ. გოგიაშვილის მიერ. **გარდა ამისა „მოამბის“ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ**

ოთხი საყმაწვილო წიგნი სურათებით

(გამოვა სამ თვეში ერთხელ)

ოთხივე წიგნი შეადგენს 250 გვერდს.

წლიური ფასის გარდა ქალაქ გარედ ხელის მომწერლებმა, პრემიის გასაგზავნად, რედაქციის ფოსტის ხარჯად 55 კ. უნდა გამოუგზავნონ.

რედაქცია უმორჩილესადა სთხოვს ზემოთ აღნიშნულ გამოცემათა დაკვეთის მსურველთ, 25 **დეკემბრამდე დაიკვეთონ,** რომ კანტორამ მოასწროს ადრესების დამზადება და არ დააგვიანოს გამოცემათა გზავნა.

რედაქცია და კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე. ტელეფონი №372 ფოსტის ადრესი: Тифлисъ въ редак. Моамбе и Цнобисъ Пурцели.

ქ უ თ ა ი ს შ ი

ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგან და ნერვების ნეულებთი ავადმყოფთ დილით 9—12-მდე სამღამოით 5—7 საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიპარმაკლიძისა. (0—6.—27)

ე ქ ი მ ი

ვ. დ. ღამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათ. ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი № 46. წლ.

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 88).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღაამოობით 5—7-მდე.

ე ქ ი მ ი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ.. საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 21 სახლი ვენაძისა.

გამოცდილი

მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი,

ფრანგულისა და გერმანულის მცოდნე, ამზადებს მოსწავლეთ საშუალო სასწავლებლებისათვის. ადრესი რედაქციაში. (0—22)

საუკეთესოდ მოწყობილი

ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა

წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.

ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.

პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

წარმ. 31. აბონემენტი № 10.

ქართული თეატრი

პარასკევს, 26 დეკემბერს 1903 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება

ძალა აღმართსა ხნავს

კომედია 4 მოქ. სალავიოვიდან ვ. გუნიასი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ა. კარგარეთელი, ნ. ჯავახიშვილი. ბ-ნნი: ვ. გუნია, გ. გედევანოვი, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი.

—

შაბათს, 27 დეკემბერს, 1903 წელს **დილის იაფ-ფასიანი წარმოდგენა** ✦

რ ე ვ ი ზ ო რ ი

კომ. 5 მოქმ. გოგოლისა, თარგ. ა. ჭიჭინაძის მიერ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ა. კარგარეთელი, ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. ბაქრაძე, გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, საფაროვი, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი ძალიან დაკლებულია. დასაწყისი დილის 12 საათზე.

—

კვირას, 28 დეკემბერს საღამოთი

ს ა მ შ ო ბ ლ ო

ისტ. დრამა 5 მოქ. დ. ერისთავისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ნებიერიძე, ჩხეიძე, ელ. ჩერქეზიშვილი: ბ-ნი ბაქრაძე, ვ. გუნია ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ვ. მატარაძე ს. სვიმონიძე, საფაროვი, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი **აკაკი**

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

სადღესასწაულო რეპერტუარი:

26 დეკ. დილით „დუბროვსკი“, საღ. „გუგენოტი“
27 დეკ. „ ევგენი ონეგინ“, „ „ტანგეიზერი“
28 დეკ. „ „სნეგუროჩკა“, „ „ფრა-დიავოლო“
29 დეკ. „ „კარმენ“ 30 დეკ. „ციგანსკი ბარონ“

31 დეკ. „კამორრა“. 1 იანვარს: დილით „რუსლან და ლიუდმილა“, საღ. „პიკოვაია დამა“. დილის წარმოდგენა დაიწყება 12½ საათ. საღამოს—8 საათზე. ბილეთები დილის წარმ. იყიდება საერთო კასაში, საღამოსი—„location“.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი ე. დ. ესპოზიტო.

ა ნ ო ნ ს ი: 27 დეკემბ. ბენეფისი დარსკისა—„ტანგეიზერი“. (6.)

ნამდვილი თეთრი ცელულიარული აბრეშუმის გრენა

ბაღდადის ჯიშისა, თითო კოლოფში ექვს-ექვსი მისხალი

ძმ. პ ა ს ხ ა ლ ი დ ი ს.

ერთად-ერთი წარმომადგენელი კავკასიაში **ა. კ. ზახარიადისი**

დრესი: დვორცოვი ქუჩა, სარაჯევის სახლი, სადგომის № 6. (10—4)

ქუთაისის ქართული თეატრი

პარასკევს, 26 დეკემბერს 1903 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება

✦ **ტასო აბაშიძის საბენეფისოდ** ✦

გ ო რ კ ი ლ ი

დრამა 4 მოქ. სუმბათაშვილისა თარ. ახნაზაროვისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. გამყრელიძე, ნ. ყიფიანი, მ. მდივანი, რონელი, ივანიძე; ბ-ნნი დ. აწყურელი, ალექსი-მესხიშვილი, თუთბერიძე, დ. ჩარკვიანი, გ. ჩარკვიანი, ზარდალიშვილი.

—

კვირას. 28 დეკემბერს, წარმოდგენილი იქმნება პირველად ახალი პიესა

ხალხის მტერი ანუ ექიმი შტოკმანი

დრამა 5 მოქმ. ჰ. იბსენისა, თარგ. პოლუმორდვინოვისა

მონაწილეობს იღებენ ქ-ნნი: მ. მდივანი, ა. რონელი, ივანიძე, ურბნელი; ბ-ნნი: დ. აწყურელი, გ. გედევანოვი, ვ. გამყრელიძე, კ. მესხი, თუთბერიძე, დ. ჩარკვიანი, ზარდალიშვილი, ბოჭორიშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი 8 საათზე.

რეჟისორი **ალექსი-მესხიშვილი**

შ ო ბ ა ი ე ს ო ს ი

—

როდესაც იესო დაიბადა ბეთლემს მეფე იროდის დროს, აღმოსავლეთის მოგვნი მივიდნენ იერუსალიმს და იკითხეს: სად არს, რომელი იგი იშვა მეუფე ურიათა?—ეს რომ იროდიმ გაიგონა, ძლიერ შეძრწუნდა: ურიასტანის მეფე მე ვარ და სხვა ვინ უნდა დაბადებულიყო ურიათა მეფეთო?!

შეჰკრიბა დაუყონებლივ მღვდელ-მთავარნი და მწიგნობარნი და ჰკითხა მათ: სადა უკვე შობად არს ქრისტე?—მათ უპასუხეს: ბეთლემს ურიასტანისასა, რომლისაგან უნდა გამოვიდეს წინამძღვარი ერისა ისრაილისა, როგორც ამბობს წინასწარმეტყველიო.

მაშინ იროდიმ იდუმალ მოუწოდა მოგვთა და დაიბარა მათ: წადით, თაყვანი ეცით ყრმას და მერე მოდით ჩემთან, მიამბეთ ყოველი ამბავი, რათა მეც წავიდე და თაყვანი ვსცე მას: იროდის უნდოდა გაეგო ყრმა მეუფის ამბავი, რომ მოეკლა იგი.

ხოლო მოგვთა რა იხილეს იესო, მიიღეს ბრძანება ღვთისაგან, რათა არ დაბრუნებულიყვნენ იროდისთან, არამედ სხვა გზით წასულიყვნენ სახლში. ამავე დროს ანგელოსი გამოეცხადა იოსებს და მარიამს, რომელმაც აცნო მათ იროდის ბოროტი განზრახვა. ისინი გაიქცნენ ეგვიპტეში და თან წაიყვანეს ყრმა.

იროდი ფრიად განრისხდა, რა ნახა, რომ მოგვთა მოატყუილეს და არ დაბრუნდნენ მასთან, და ერთიან ამოსწყვიტა ბეთლემში ყრმები, ეგონა: მათ შორის იქნება იესოც, მეუფე ურიათაო. მაგრამ იროდის ხელი ვერ შეეხო იესოს, რომელიც მოვლენილი იყო დიდებულის საქმისათვის. იესოს სამართლის და სიყვარულის სიტყვა მოეფინა მთელს დედა-მიწას და მისი ხსენება ცოცხალი იქნება, ვიდრე არ გაჰქრება უკანასკნელი ატომი ქვეყნიერებისა. იროდი კი მოკვდა და ჩამომავლობა წყევით და კრულვით იხსენიებს მის სახელს...

იესო და იროდი მთელის კაცობრიობის ისტორიაა. კაცობრიობა, საზოგადოება იბადება, კვდება სულით, მაგრამ კვლავ სდგება მკვდრეთით. იესო—ეგ უკვდავი სულია ადამიანისა,—ძლიერი გამორკვეული, თუ სუსტი, შეუგნებელი—მისწრაფება უკეთესის და უკეთესის ცხოვრებისაკენ. დაბადების დღიდანვე დევნის მას იროდი—ბოროტი ძალა, მაგრამ ვერასოდეს ვერ იმორჩილებს და ვერ სპობს მის არსებობას; ხანდახან თუ შეიპყრობს, ჩააგდებს საფლავში და ზედ მძიმე ლოდსაც დაადებს, იგი—უკვდავი მისწრაფება სიმართლისაკენ—მაინც კვლავ აღსდგება, ვით აღსდგა იესო!

არავის არ შეეძლო შეეჩერებინა იესო და ეთქვა: შესდეგიო! რადგან მთელი კაცობრიობა წინ ეგებებოდა მას და ნათელი მოჰქონდა იესოს კაცთათვის, რომელსაც დასაბამიდან მოელოდნენ ყველანი. დედა-მიწაზე არ მოიპოვება ძალა, რომელსაც შეეძლოს შეაჩეროს ადამიანის სული და უთხრას: შესდეგ, ნუ მიხვალ წინო!..

იროდი ვერასოდეს ვერ დასძლევს იესოს: ერთი ბნელეთის მეფეა, მეორე სინათლის; ერთს სიყვარული და სამართალი მოაქვს კაცობრიობისათვის, მეორეს სიძულვილი და ძალ-მომრეობა! ბოროტი ძალა ვერასოდეს ვერ დასძლევს კეთილს! საზოგადოება მუდამ იბადება, მუდამ ახლდება და თუ მოკვდება ხანდახან დროებით, მაინც აღსდგება ხელახლა მკვდრეთით!...

კალამი

* * *

„ს ე ს ხ ი“

(ეტიუდი)

შობის წინა დღე იყო. დღისა ნათელი გვეთხოვებოდა, გათავებულიყო მისი მეფობა; ფერწასული, აცახცახებული უკან-უკან მიდიოდა და მომავალ ღამისა წყვდიადს ადგილს უთმობდა. ცა, თითქოს ამისთანა უსამართლობით შეწუხებული, მოხუშულიყო, შემოსილიყო ძაძით და კვლავ მოელვარე ვარსკვლავ-მთვარისთვის პირბადე აეფარა, რომ მათ, სიყვარულითა და წმინდა გრძნობით აღსავსე გულმა უსამართლობას თვალი არ მოჰკრას, ღამის წყვდიადის გამარჯვება არ დაინახოს და იმედებითა და ოცნებით აღსავსე ცხოვრება არ დაეჩრდილოსო. სტიროდა ცაც და ქვეყანაც. ჰაერში თოვლი და წვიმა არეულიყვნენ. ეტყობოდათ, ნანახს სურათს არც იმათზე ემოქმედნა კარგათ, რომ გზა დაბნეულნი, უაზრ-უმიზნოთ სადღაც მიეჩქარებოდნენ და თავ რეტ-დასხმულნი ჰაერში ირეოდნენ. საიდანღაც დროგამოშვებით გამოიჭრებოდა ქარი და საშინელის, შემაძრწუნებელის კვნესა-ღმუილით დაჰქროლებდა ქვეყანას, თითქოს დანგრევას და განადგურებას უპირებსო; მაგრამ რა-კი მიხვდებოდა, რომ საამისო ძალა არ მოსდევდა, შორს სადღაც, მთასა და ღრეში საბრალო კვნესით მოკვდებოდა და წუთი-სოფელს ესალმებოდა. მისი დიდის რიხითა და ბრაზით მიტანილი იერიში ისევ ხეებსა და დაუკეტელ დარაბ-ფანჯრებს-ღა თუ აშინებდნენ. მხოლოდ ისინი თუ შრიალებდნენ შიშით და თავ-რეტ დასხმული დარაბები კედლებს ახლიდნენ თავებსა.

ადამიანნი სახლებში შემალულიყვნენ, ბუხრებში ცეცხლი დაეგუზგუზებინათ და რიდაცის მზადებაში გართულნი ბუნების ბრაზსა და ცოფს ვერც-კი ამჩნევდნენ. თითქმის ყველგან მიბრაწული ცხვრისა და გოჭის სასიამოვნო სუნი იდგა. ყველა ჰფუსფუსებდა, ყველა წმენდა-ლაგებაში იყო; ყველა ცდილობდა ხვალინდელ შობას სუფთად და მაძღრისათ მიჰგებებოდა.

მხოლოდ ერთგან ერთ პატარა სახლში არავინ მუშაობდა, მხოლოდ იქ იყო, რომ არც ფეხის ხმა და არც სხვა ხმაურობა აღარ ისმოდა.

პატარა ოთახში კუნჭულში მიდგმულ მაგიდაზე ძლივსა ბჟუტავდა სანათი. იმისი მკრთალი და სუსტი სინათლე ვერ ანათებდა ოთახის ყველა კუნჭულს; მაგრამ თუ დააშტერდებოდით, მაშინ-კი გაარჩევდით, რომ ოთახის მეორე მხარეს ტახტზე ათისა თუ თერთმეტის წლის ბავშვი იწვა. გამხდარ და წმინდა სანთელსავით გაყვითლებულ სახეზე ეტყობოდა, რომ ბავშვი მძიმე ავადმყოფი უნდა ყოფილიყო. თავით, სკამზე ჩამომჯდარიყო მისი დედა, მხრებზე უფრო-

სი შვილის გახუნებული და გახეხილი პალტო მოესხა და ღია თვალებით გარინდებულიყო. ტახტის მეორე ნახევარზე რაღაც ქაღალდები იყო გაფანტული, ცოტა მოშორებით, სკივრზე თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის სერგო მუშტის ოდენათ მოკუნჭულიყო, რაღაც ფერად-ფერადი ნაჭრებისაგან შეკერილი საბანი წაეხურა და ჩასძინებოდა. შრომისაგან დამჭკნარ სახეზე და შეკრულ შუბლზე ცხადად ეტყობოდა, რომ ძილის წინ ტკბილ ოცნებებში არ უნდა ყოფილიყო.

ბუხარში ალბათ კაი ხანია ცეცხლი არ ანთებულიყო, რომ არა თუ მუგუზალი, ან ჩაფერფლილი ცეცხლი, ნაცარიც-კი არსად მოსჩანდა. დრო გამოშვებით ბუხრიდან გრიგალის ღლოვა-ტირილი და გმინვა-გოდება გამოისმოდა. ეტყობოდა, ბუნებას ამ პატარა ქოხის დაბრიყვება მოესურვებინა, რომ მის ძლევა მოსილ იერიშზე მთელ შენობას ზანზარი გაჰქონდა, ქვეით, დაუკეტელი ჭისკარი რახუნობდა.

მაგრამ ყველა ამ ხმაურობას, სახლის ზანზარსა და სიცივეს ვერას გზით ვერ ემოქმედნათ გარინდებულ დედაზედ და ჯიუტ ფიქრთაგან ვერ გამოეყვანათ.

აგერ ცხრა დღე იქნება, რაც უმცროსი შვილი — ნიკო უქმელ-უსმელი უძევს. სანამ ნიკო დაცქრიალებდა სახლში, ვერც სიღარიბეს და ვერც სიცივეს ველარ ამჩნევდნენ. თუ ხმელ ლუკმას ჰყლაპავდნენ, სანაცვლოდ სიხიარულე გამოულეველი ჰქონდათ სახლში. ნიკოს ჯერ სიღარიბისა არა ესმოდა-რა და რაკი უკეთესი ცხოვრება არც-კი ენახა, ეგონა, ამაზედ უკეთესად არც-კი არავინ სცხოვრობსო. დედას და უფროს ძმას თუმცა ჯერ ვერ დაევიწყნათ წარსული უზრუნველი ცხოვრება, როცა ოჯახის პატრონი ადგა თავსა და არაფერს აკლებდა, მაინც მხიარული და ბეჯითი ნიკოს შემცქერალს აწ̃ყო ვარამი ავიწყდებოდათ და მომავალს ცოცხალი იმედებით შეჰყურებდნენ.

ნიკოს ჩაწოლასთან ერთად გოგოლაანთ მზეც ჩავიდა. შობას სულ თორმეტი თუ ცამეტი დღე აკლდა, რომ ნიკო სკოლიდან დაბრუნდა და დედა'ს თავისი ტკივილი შესჩივლა. თითონ ნიკო თავის ტკივილს ეგრე რიგად ყურადღებას არ მიაქცევდა, რომ ჯანში სულ ერთიანად არ მოშლილიყო და გუნება არ შესცვლოდა.

გამოცდილმა დედამ შვილი სკოლაში აღარ გაჰგზავნა და რაც კი რამ ებადა, სულ იმას მიაყარა, იმედი ჰქონდა, ოფლს მოვადენ, გამოვშუშავ და ამის წამალიც ეს იქნებაო, მაგრამ იმედები გაუცრუვდნენ. ნიკოს სიცხე თანდათან ემატებოდა და ორი-სამი დღის შემდეგ გონებაც კი დაჰკარგა. ეს იყო და ეს — დედამ მოსვენება ველარ ნახა. „მოგიკვდეს, შვილო, დედა, იქნება თხელი ბამბაზიის ხალათში რომ დამირბოდი, იმან დამიბრმავა თვალები!“ მგონი მეათეჯერ ჰფიქრობდა დედა და სულ თავის თავს ამტყუნებდა. „რა ღმერთი გამიწყრა, რომ ვერა მოვახერხე- რა და თბილი რამე ვერ შევუკერე. ყველაფერი უნდა დამეკლო და ჩემი ნიკო კი თბილათ მეტარებინაო“! — ჰფიქრობდა ჯიუტად დედა და ის კი ავიწყდებოდა, რომ მოკლება აღარაფრის აღარ შეიძლებოდა, ამაზედ ხელმოჭერილ ცხოვრებას ველარ მოახერხებდა. მაგრამ წარსულზედ ფიქრი რას უშველიდა? აქ საჭირო იყო მომავალი, საჭირო იყო რამე ღონე ღონე, რაიმე საღსარი აღმოეჩინა და თავისი ნუკრი ნიკო სიკვდილისთვის ხელიდან გამოეგლიჯა.

ამ ფიქრისა და თავის მტვრევის დროს რამდენჯერ წარმოუდგა ტანჯულ დედას წარსული უზრუნველი ცხოვრება. მართალია არც იმასა ჰქონდა მთელი თავისი ცხოვრება უზრუნველობაში და გულსავსეთ გატარებული, იმასაც ახსოვს თავისი ობლობა, როცა შვიდი თუ ექვსი წლის გოგო ვიღაც დიდედამ თავის ჭერს შეაფარა.

სიბავშვეში ბევრი მწარე დღე გამოუვლია, ბევრი ძიმწარე დაულევია, მაგრამ შორეული წარსული ეხლა ნისლით არის მოცული, გავლილ დროს დავიწყების ზეწარი წაჰფარებოდა და ეხლა ბუნდათ თუ წარმოიდგენდა წარსულ ცხოვრებას.

რა აკლდა? დედის ალერსი თუ არსებითი პური, — არ იცის, იცის კი, რომ რაღაც აკლდა ხოლმე, რაღაც უდაგავდა პატარა გულსა და პატარა ქორფა თავს შავი ფიქრებით უვსებდა.

მაგრამ მალე ბედი გამოეცვალა. სოფო ძალიან ადრე გაათხოვეს და თუმცა სასტიკი ხასიათისა გამოდგა ქმარი, ოჯახს მაინც არაფერს აკლებდა, ამ რიგად ოცდა ცამეტი წელიწადი გაატარა. ოცდა ცამეტი წელიწადი! ხუმრობა ხომ არ იყო? ამ ხნის განმავლობაში ქმარმა არამც თუ საკუთარი ზნე-ჩვეულებანი გადასცა, ხასიათიც კი თავისი ჩაუნერგა გულში. ქმარსავით პატიოსანი, ამპარტავანი და თუ გინდათ, გოროზი სოფო თავს არაფრით დაიმცირებდა, მეზობელს კარზე არ მიადგებოდა და იმ წუთს რაც უნდა დიდ გაჭირვებაში ყოფილიყო, სასეხებლადაც კი ხელს არავის გაუწვდიდა.

მაგრამ ეხლა? ქაღალდების გადაწერით სერგოს შემოტანილი ორი თუმანი თვეში ოჯახს რას გაუძლვებოდა, ისე როგორ გაივლიდა დღე, რომ რამე არ შემოჰკლებოდათ და მეზობლის დახმარება არ დასჭირებოდათ. მერე ერთხელ, სერგო რომ ავად გაუხდა და სახლში გროშის შემომტანიც აღარავინ დარჩა. „ოჰ, შავ და უკუღმათ ის დღე! წავიდეს და აღარ დაბრუნდეს!“

ან ეხლა რაღა ხეირი აყრია? გუშინ არ იყო სახლის პატრონს პურს დაესესხა და რა ბუტბუტითა და ბუზღუნით გამოუტანა თონის გაფშეკილი პური? ღმერთო, ღმერთო!.. აქ კიდევ რაღაც უნდა ეფიქრნა, მაგრამ პური, სახლის პატრონი, ნიკო და თავისი ქმარი სულ ერთმანეთში გადაერივნენ და უძილობით ქანც-გაწყვეტილმა დედამ თვალი მილულა, თავი ოდნავ გვერდზე გადაჰქინდრა და ძილს მიეცა.

⁂

ცა ცრიაგდებოდა, ჰფითრდებოდა და განთიადი ნელ-ნელა ეპარებოდა ქვეყანას. არ იქნა და ერთხელ ვერ წაადგა ადამიანს მოულოდნელად. რამდენი წელიწადია სცდილობს, ყოველ დღე აპირებს შეუმჩნევლად მოედოს ქვეყანას, მაგრამ სომხების ეკკლესიის დარაჯი მოჰკრავს თუ არა განთიადის რიჟრაჟს თვალს, შეითამაშებს თუ არა მოახლოვებული განთიადის მკრთალი სინათლე ცაზედ, ავა სამრეკლოზე და სამჯერ ზარს ჩამოჰრეკავს: ილურთი, ილურთი! *) ღმერთო, რამდენჯერ შეუკრთია განთიადისთვის ამ ილურთს გული და რამდენჯერ ჩასობია მკერდში ისარივითა! მოჰკრავდა თუ არა განთიადი ზარის ხმას ყურსა, ერთხელ კი წამოისვროდა გაბრაზებული „კიდევ ვაო“ და გაბედულად, გაშმაგებით სტყორცნიდა ქვეყანას ცივ სხივებს. სიფრთხილე ეხლა რაღა საჭირო იყო? კიდევ უყარაულა იმ მუხანათმა და ისევ ამაოთ ჩაუტარა ამოდენა სიფრთხილე და მეცადინეობა! კიდევ ცოტა და ქვეყანა დღის სინათლით აივსებოდა.

აი, დღესაც შობა დღე თენდებოდა. გაალმასებული ბუნება მიყუჩებულიყო, იმასაც გამოლეოდა ძალა და მოთმინება, იმასაც შესვენება დასჭირებოდა, აღარ ისმოდა აღარც გუგუნი ქარისა და არც ნერგების საბრალო კვნესა და ზმუილი. თოვლი და წვიმაც აღარ მოსჩანდნენ ჰაერში: განთიადმა ის იყო თავი წამოჰყო, თითის წვერებზე მიეპარა ქვეყანას და ის ის იყო საკრმლებში შეხედვას აპირებდა, რომ სამრეკლოზე ილურთი ჩამოჰკრეს. შეკრთა სინათლე, შეცახცახდა. მაგრამ მარტო განთიადი არ შეკრთა ამ ხმაზე. პატარა ოთახში კურდღელსავით წაძინებული დედაც წამოხტა, შეშინებული თვალები პატარა ნიკოს მიაპყრო და განივრად პირჯვარი გადისახა. ნიკო გუშინდელსავით მძიმეთ აღარ ჰქშინავდა, აღარ ჰბორგავდა და სწორე სუნთქვაზე ეტყობოდა სიცხე გამონელებული უნდა ჰქონოდა.

დედა ფრთხილის ნაბიჯით კედლისაკენ წავიდა, ბუხრის თავზე ორი ყვითელი სანთელი იპოვნა, იქვე კუნჭულში დაანთო და მუხლით მოიდრიკა. დიდი ხანი ევედრებოდა თავიანთ სალოცავს და ბევრი ცრემლი დაღვარა. იქნება არც კი გაეთავებინა ლოცვა და ცრემლის ნაკადული არც კი შეშრობოდა თვალებზე, რომ ნიკოს სუსტის, მაგრამ ტკბილის ხმით არ დაეძახნა:

— დედავ!..

— რა გინდა გენაცვალე, რა გინდა შენი ჭირიმე, შვილო! — უთხრა დედამ და ერთ წუთს თავთ დაუჩოქა.

— მშიან!..

ღმერთო! — გაუელვა დედას თავში, — რად მაცოცხლებ და რატომ არ მომკლავ? საცოდავს ხმელა პურის მეტი არა ჰქონდა-რა სახლში. პურს კი მოუტანდა, მაგრამ დასუსტებულ ყმაწვილს ცალიერ პურს რა შეაჭმევდა? რა ექნა, სად წასულიყო, ვისთვის მიემართნა? თუმცა არაფრის იმედი არა ჰქონდა, მაინც დაეკითხა შვილს:

— რა უფრო გინდა, შვილო, რას შესჭამ?

— ყველი!..

„ყველი“, გაიმეორა გულში დედამ და იმ წუთსვე სახლის პატრონი მოაგონდა. ღმერთო, რადაა ასე, რომ ზოგს თუ არ მისცემ, სუყველაფერს გაუწყვეტ ოჯახში და ზოგს თუ მისცემ, ჭერამდინ აუვსებ სახლსა? სახლის პატრონს რამდენი ქილა ყველი უდგია სარდაფში და მე კი ერთი ბეწო ნაჭერი მენატრება!..

რა ექნა, წასულიყო და კიდევ დასესხებოდა, იმათი საძაგელი ბუტბუტი და ბუზღუნი უნდა მოესმინა და კიდევ ვინ იცის, იქნება უარიც ეთქვათ. ან ასე დილის სისხამზე ხომ ვერ წამოაგდებდა, ყველის პატარა ნაჭრისათვის ხომ ვერ გაალვიძებდა სახლის პატრონს? გუშინწინაც, პურს რომ დაესესხა, აშკარად გააგონებს „ნეტა ჩვენ ცოდოთ შენ ამ სახლში არ დამდგარიყავ და რაც უნდოდა, ის დაგვმართნოდაო“. დედამიწა რომ გასკდომოდა სოფოს და თან ჩაეტანა, ამ სიტყვების გაგონებას ის ერჩივნა. რისიმე იმედი რომ ჰქონოდა, ამ პურს შიგ თავში მიახლიდა და გამორთმევას კი აღარ იკადრებდა, მაგრამ რა ექნა, ძალა აღმართსა ხნავს და შიმშილმა ხომ არავის შებრალება არ იცის!

რა იქნება რომ ჩავიდე სარდაფში (ის ხომ საერთოა) და ყველის პაწაწკინა ნაჭერი მე თითონ ამოვიღო იმათ ქილიდანაო? გაუელვა დედას თავში, მაგრამ ამ ფიქრმა მხოლოდ გაუელვა და მალევე გაუქრა. როგორ, სოფო, სოფო ჩავიდეს და ფარულად სხვის ქილაში ხელი ჩაჰყოს, სხვისი ყველი ამოიღოს? როგორ იქნება, ამას ხომ სიკვდილი ურჩევნია. სიმშილი რას მიქვიან, სიმშილმა უპატიურობა როგორ უნდა ჩამადენინოს? მაგრამ ნიკო? მშიერი ხომ ნიკოა და იმისთვის უნდა ყველი, ნიკოსთვის!..

ღმერთო! ჩუმათ, კვნესით ამოსკდა დედას გულიდან და გაუბედავად კარებისაკენ გასწია.

სერგომ როცა გაიღვიძა, ნიკო ისე გემრიელად ილოღნებოდა, თითქოს ძალიან გემრიელ რასმეს შეექცევაო — ის კი არა ცალ ხელში ყველის პატარა ნაჭერი და მეორეში პური ეჭირა.

სერგოს ძმის მოხედვა-მორჩენა გაეხარდა და ის იყო რაღასაც უნდა დაჰკითხებოდა დედას, მაგრამ იმან დაასწრო.

— შვილო, გადაწერილი ქაღალდების ფულს როდის მოგცემენ?

— აი, ამ დღეებში ხუთი თუ ექვსი მანათი მერგება.

— აიღო თუ არა, ყველი მიყიდე, შვილო, სხვას ნურაფერს მომიყვები.

⁂

ერთის კვირის შემდეგ სოფო სარდაფში ჩასულიყო, სახლის პატრონის ქილას მისჯდომოდა, ხელში ყველის ნაჭერი ეჭირა და თითქოს რაღაცას ულოცავსო, ჩუმათ ბუტბუტებდა:

— ქილავ, შენგან ვისესხე და შენვე გიბრუნებ; ქილავ, შენგან ვისესხე და შენვე გიბრუნებ!

ვ. სოფოშვილი

შემოქმედებითი ტანჯვა...

ქვათ ვიქეც თუ კლდეთ, არ ვიცი, მაგრამ არაფრის გრძნობა, არაფერზე ფიქრი არ შემეძლო. საფიქრებელი-კი, რომ გამოგიტყდეთ, დიდი მქონდა: რედაქციამ საშობაო მოთხრობის დაწერა დამავალა. თან დასძინა, კარგი იყოსო, თორემ არამც თუ იმ მოთხრობასა, აღარც ერთ სტრიქონს შენსას შემდგომში აღარ დავბეჭდავთ და აღარც ერთს ფარას... აქ-კი აღარ შემიძლიან, რომ მაგონდება მუქარა, გული მისკდება შიშითა... აღარც ერთს ფარას აღარ მიიღებო... მერე, ისაც დღესასწაულებში! შიშისგან მთლად გავქრი, გავიპარევი. ეს იყო 23 დეკემბერს, ნაშუადღევს.

ხუთი წამის შემდეგ უკვე ქუჩაში ვიყავი და საითღაც მივეშურებოდი. მაგრამ საით, მეც არ ვიცოდი. ვიდოდი ასე უაზროდ ერთი ქუჩიდან მეორეზე და გაშტერებული ხელებს ვისრესდი; თანაც ვფიქრობდი, ნეტა რა დავწერო ასეთი, რომ ერთგულს თანამშრომელს რედაქცია ასე სასტიკად მეპყრობა-მეთქი, ან რა ნაფიცი საშობაო მემოთხრობე მე მნახეს, რომ ასე უცბად მოთხრობაც დავწერო და მასთან კარგიც-მეთქი. ერთი სიტყვით, ტანში სულ ჭიანჭველები მივლიდნენ და შიშისგან კუჭი ადრევე მეკრუნჩხებოდა, სადღესასწაულო შიმშილს რომ წარმოვიდგენდი. ქუჩაში-კი საშინლად ჰყინავდა, მწვავე, ხმელი ქარი მოწუწუნებდა.

ასე უიმედოდ დამწუხრებულმა მთელი მოედნები და სავაჭრო-საქულ-ბაქოები დაღამებამდე მთლად შემოვიარე. ვნახე სადღესასწაულოდ, რაც-კი რამ სოფელში საუკეთესო სანოვაგე ყოფილიყო: გოჭები, ინდოურები, ბატი, იხვი, ქათამი, კვერცხი და ნანადირევი — კურდღელი, მტრედი, გარეული იხვი, მწყერი და სხ. ყოველივე ეს სოფელს ქალაქისათვის ძღვნად მოერთმია, შობა-ახალწელს ულოცავდა.

მაღაზიებსა და საწყობებში ხომ, ვინ იცის, რა ხილი და საუზმეები არ გამოეფინათ.

ათასფერად აჭრელებულმა, თვალწარმტაცმა თავ-მობმულმა თაიგულებმა ალერსით თვალი ჩამიკრეს, ანდამატივით მიმიზიდეს. ერთ წამად თითქოს გამოვფხიზლდი და მინდოდა კიდეც შევსულიყავი, მეყიდნა რამე, მაგრამ დავალება მომაგონდა, შევდექი.

ყველგან, სადაც-კი გავიხედე, ხალხი ირეოდა, ხმაურობა, ყრიამული ისმოდა; მდიდარი, დიდი, პატარა, მოხელე თუ მუშა, ყველა თითქოს მემკვიდრეობის მიღების მოლოდინში იყო, აღელვებული ხან ერთს მაღაზიას ეცემოდა, ხან მეორეს, პირ-ღიმილით, გულის ძგერით მიძუგძუგებდა და თან რამ სავაჭროს მიარბენინებდა, ეტლი ეტლს მისდევდა დატვირთული. ვაჭრების სიხარულს ხომ საზღვარი აღარა ჰქონდა, ციბრუტივით ტრიალებდნენ, სასწორსა და გირებს ათამაშებდნენ, ფულებს იჩხრიალებდნენ; თან მოსწრებულისა და სათხუნჯო სიტყვით მუშტარს ახალისებდნენ, რომ ჯიბე უკეთ ამოეცლევინებინათ.

ყველა რაღაც დღესასწაულებრივს კმაყოფილებასა ჰგრძნობდა, ზრუნვით და სიხარულით აღსავსე იყო. მაგრამ...

იქვე ირეოდნენ მათხოვარა-გლახა-მშიერებიც, სიცივისგან გალურჯებულნი და დაბრანძულნი ხან ერთს მისდევდნენ უკან ხელგაწვდილნი, ხან მეორეს, მოწყალეობდნენ; სხვები კიდევ, ბედს რომ მათთვის თხოვნის უნარიც გამოეწირა და ხელის გაწვდას ვერა ჰბედავენ, დაძონძილ-დაკლეჯილნი სანოვაგე-ხილეულობის მაღაზიებს შესტრფიალებდნენ და მშიერს თვალებს მოკრძალებით აცეცებდნენ. ერთი სიტყვით, გაუმაძღრობა და შიმშილი გარეთ გამოსულიყვნენ, კბილებს ილესდნენ.

შებინდდა. მთელი ქალაქი ათას ფერად აჭრიალდა, ცეცხლის ბუშტები ხან ძირს სადმე იფეთქებდა მაღაზიაში და მხიარულს ნათელს აბნევდა, ხან ჰაერში გატყვრებოდა და მთელს ქუჩას კაშკაშა მთვარესავით დაადგებოდა ხოლმე. ეტლების სრიალი და დრიტინი და თავ-გამაბრუებელი, ჩუმი ლაპარაკი ზღვის ქშენასავით ისმოდა, ქალაქზე გადაწოლილი ბუმბერაზი სრულის მკერდითა სუნთქავდა.

მოვიღალე, მუხლები მეკეცებოდა, მაგრამ აზრი ჩემის ასე თავგამოდებით ხეტიალისა მაინც არ მესმოდა. შინისაკენ ვქენი პირი.

შემოუხვიე თუ არა პროსპექტს, ჩემს ყურს უცბად რაღაც ჯაჭვების მძიმე ჩხარუნი შემოესმა. ექვსი ზორბა ჯარის-კაცი თოფით შემოსდგომოდა ორს გაჯაჭვულს პატიმარსა და მძიმე ნაბიჯით დაღმა მიჰყავდათ. ფარაჯებსა და ბორკილებზე ეტყობოდათ, რომ ციმბირი აქეთ დარჩებოდათ. მიდიოდნენ მთლად გაცრეცილნი და ეტყობოდათ უბედურებს, რომ გულში ჯოჯოხეთი უტრიალებდათ, სადღესასწაულო იერი და სიხარული თავისს უკანასკნელ თავისუფალ ამოქშენასთან ერთად ჩაემარხათ დიდი ხანია, ახლა მხოლოდ ჩადენილ ბოროტების შურს-ღა აგებდნენ პასუხსა...

და მთელი ქუჩა, დიდიდან მოკიდებული პატარამდე, ყველა თითქმის მათ შეჭყურებდა, ზოგი ნიშნ მიგებითა და ყოყოჩად, რომ იცოდნენ, ეს გაქნილი მხეცები ვერასოდეს ცუდს ვეღარ ჩაიდენდნენ; ზოგნი კიდევ სიბრალულით, დამწუხარებულნი, თითქოს მზად არიან ანუგეშონ ეს საბრალონი, ნებას რომ ვინმე მისცემდეთო.

ბრბოშივე მოსჩანდა დაბრანძული, ჩამომხმარი გლეხი, რომელსაც ასრევე გასაცოდავებული, თხელი ახალუხისა და ხელის გულისტოლა ყაბა-

---

*) ამ დილის ზარს იმისთანა ქალაქებში, სადაც სომხობა და ქართველობა გადარეულია ერთმანეთში, ერთნიც და მეორენიც ილურთს უწოდებენ.

ის ამარა 10—11 წლის ბავშვი ამოსდგომოდა გვერდით და პირდაღებული და შეშინებული ძაგძაგით შეჰყურებდა პატიმრებს.

— ძია, რა არი? სად მიჰყავთ ე რუსებს? ვინ არიან? —მოაყოლა ზედი-ზედ კითხვა კითხვასა და თან გაყინული, გათოშილი, თითის წვერებ წაცვეთილი ქალამნები ააფახკურა ტროტუარზე, რომ სისხლი აემოძრავებინა.

— აბა, რა ვიცი? პატიმრები, დამნაშავეები არიან! მაგრამ ღმერთმა იცის!...—წარმოსთქვა გლეხმა როგორღაც გულის კდომითა და სული ყელში მოებჯინა, გამხმარსა და გარუჯულს ღოყებზე მთლად მიმქრალ თვალებიდან ცრემლები გადმოუგორდა.

ბავშვმა კიდევ გადახედა პატიმრებს, გაიჩმუჩნა და ძიას დაუწყო ისევ ყურება, რომელმაც თავმოსარიდებლად ახლა სხვა მხარეს გაიხედა.

— წავიდეთ, შვილო, წავიდეთ, თორემ ურმები გაგვასწრობენ,—მოჰკიდა გლეხმა ბავშს ხელი და თითქმის გაიტაცა.

გლეხის საცოდავმა, ტანჯულმა სახემ და ბავშვის გარეგნობამ, თან ამ უნებურმა ცრემლებმა ისე როგორღაც მომაჯადოვეს, რომ მაშინვე მეც თან გავყევი.

— მერე, იქ მიჰყავთ, სადაც ახლა მამაჩემი მიხაა დამწყვდეული?—ჩაეკითხა ისევე ბავშვი და ხელი ჩოხის კალთაზე მოჰკიდა.

— ან რათა ტირი, ეგენი ხომ ჩვენებურები არ არიან?

— ეჰ, შვილო! რა ვუყოთ, რომ არ არიან? საწყალი მამაშენი, ჩემი ძმა მიხა, მამაკონდა, როგორ უდანაშაულოდ დაადუპინა ი კომლობა-ამოწყვეტილმა მწერალმა და როგორ მოგვტაცეს. სწორედ ეს დრო იყო. როგორც დღეს, მაშინაც მე შუშა წამოვიდე, ის კიდევ შინ დარჩა, რომ საშობაოთ ყველა საქმე მოეთავებინა და დღესასწაულს სიხარულით შევეგებებოდით. მაშინაც ასევე დაწყევლილი ყინვა და ქარი იყო. მახსოვს, კინაღამ გზაში გავითოშენით. და შინ რომ ავედი, ოჯახი განიავებული დამხვდა. მამაშენი დაეპირათ, დედაკაცები დარდისაგან მკვდრებივით ეყუდნენ. მას შემდეგ ჩვენს ოჯახში, აგერა ექვსი წელიწადია, შუბლი აღარავის გაუხსნია, შობა-ახალ-წელიწადი რომ სხვას ახარებს, ჩვენ ჯოჯოხეთის ვნიას გვიგიდებს. ძმა ძმათ დავკარგე, მუშა მუშათა და ხარჯი ხარჯათ, მაგრამ ვეღარა გავიგე-რა იმისი. წაიყვანეს, მაგრამ სად და რა უყვეს, არავინ იცის, იქნება მკვდარიც არის საცოდავი და იმის სულს-კი სანთელიც არა ჰღირსებია?!.

და გულამომჯდარმა ტირილი ვეღარ შეიმაგრა, სლოკინი დაიწყო ჩუმად. თან ფარაჯის სახელოთი იწმენდდა გამხმარს თვალებს, რომ ბავშვისათვის არ ეგრძნობინებინა.

— მერე, აკი ამბობთ ხოლმე, ისევ მოვაო მიხა?—ჩაეკითხა გამტერებული ბავშვი და ძიას გაფაცეცებით შეჰხედა.

— ჰო, შვილო, უნდა მოვიდეს, მაგრამ როდის? ეგ არავინ იცის!

აქაც ჯოჯოხეთი და ღრმა მწუხარება-მეთქი, გავიფიქრე და მათის საცოდაობით გულნატკენმა მეც უნებლიეთი ცრემლი მოვიწმინდე.

ამასობაში სახლისათვისაც მიმეტანებინა. ერთი კიდევ გავხედე ჩემს უნებურს მესაიდუმლოებსა, რომელთაგანაც ერთი წარმოადგენდა ტანჯვის სიმბოლოს, ხოლო მეორე გულუბრყვილო მსხვერპლს მომავლისასა, და გავშორდი.

⁂

საათმა თერთმეტი დაჰკრა. ქარი საზარლად წუწუნებდა. მთელი საათი იყო უკვე, რაც საწერლო მაგიდასთან ვიჯექი და შემოქმედების ნეტარ წამს ველოდი, მაგრამ... სამწუხაროდ, არსადა სჩანდა. გულის ფანცქალი და სულიერი აღტაცება, თან რაღაცა მომაჯადოვებელი სითბო, რომელსაც შემოქმედების დროსა ვგრძნობ ხოლმე საზოგადოდ, ახლა სულ არსად იყო. გაყინული, ვით თვით ის ღამე, ვიჯექი ქუშად და მხოლოდ გონება და მეხსიერება მოძრაობდნენ, ამათ-და ეტყობოდათ რაღაცა სიცოცხლის მზგავსი მუშაობა.

— ზზ-უ-უუ!!—ისმოდა გარედან გამწარებული ღმუილი ქარისა და სიცივე თითქოს ტანში მირბენდა.

— რა, დავსწერო, რა?—ვეკითხებოდი მეათასეჯერ ჩემს თავს და საგანს, ღირსს აღწერისას, ვერა ვპოვებდი. მეხსიერება კი, მეტიჩარა ვაჭარივით,—ფართლეულობას რომ გადმოგიდაგებსთ და გინდა თუ არა, გაწონებთ,—ხან ერთს, იმ დღით ნანახს სურათს გამომიჭიმავდა თვალ-წინ, ხან მეორეს, აირჩიეო.

მაგრამ რა მექნა?.. ამეწერა ის, რომ დღესასწაულებში განსხვავებას მდიდრისა და ღარიბისას ცხოვრებაში უკეთა და ნათლად ვხედავთ, ვიდრე უმისოდ; რომ თანაგრძნობა და სამართლიანობა არსად არ არის, ეს ხომ ათასჯერ აუწერიათ.

იქნება სიღარიბისა და გლახაკობის მწარე და საბრალისი სურათები მიიპყრობდა თავდავიწყებით მომხიარულე, ბედნიერ მედღესასწაულეთა ყურადღებასა?.. რა სათქმელია! ქვეყნის შექმნიდან აქამომდე მდიდარი და კმაყოფილი ამის მეტს რასა ჰხედავენ, განა, მაგრამ არა ჰგრძნობენ... განგება ბრმავდებიან. მასთან ტემატ ერთობ ძველია. რედაქცია არ შეიწყნარებს.

ავიღო, მაშ, და პატიმართა უნუგეშობა დავანახვო მკითხველებს; ვუთხრა, თუ რამდენია მათში უდანაშაულოდ დასჯილი, რამდენი უბრალოდ ჩვენგანვე დაღუპული; ან სასტიკად, გულქვად შურისა გამხდარა მსხვერპლი?..

ეჰ, არც ეს არის ჯერედ უცნობი.

რა ვქნა, მაშ? ნუ-თუ ისევ სოფელს მივმართო და ერთხელ კიდევ მივაყენო ნათლის შუქი იმას, რაც აგერა ორმოცი წელიწადია, ჩვენის მწერლების მხოლოდ და მხოლოდ ერთად-ერთს საგანს შეადგენდა? ყველას მოჰბეზრდა.

გულიანობისა და საიქიოს ამბები?.. მაგრამ ეს კი ცოტაა, განა, ჩვენს მწერლობაში?

და თავი მისკდებოდა, ჩაღამებული თვალები გადმოვარდნასა ლამობდნენ, მოლოდინისაგან მიღეული გული თითქოს მიმდიოდა, ოფლი დამასხა.

ქარი-კი ისევ ღმუოდა, სახლის ჩარდახებს ანგრევდა.

— ბრრ!!.. უ-უჰ!!—გვნესოდა ქარი და ბუხრის ხვრელში ქშიტინი გაჰქონდა, სანათს მიბორიალებდა.

საათმა უკვე თორთმეტი დაჰკრა, მაგრამ ქაღალდი ისევ სუფთა მედო წინ, კალამი სამელნეზე დაყუდებული.

მოვიღალე. მოლოდინმა და სიბრაზემ გამლიეს. თვალებს გიჟივით-და ვაცეცებდი, გონიერება და მეხსიერებაც, თითქოს მოითენთნენო, აღარ მუშაობდნენ. შიშმა შემიპყრა.—მართლა რომ გამართლდეს და მოთხრობა ვერ დავწერო? —ვფიქრობდი და თან კანკალი მიტანდა. ორი დღე იყო, ჩემს ბუხარს ცეცხლი არ ენახა.

ძალა მილეულსა და გამწარებულს თვლემა შემეპარა.

⁂

უეცრად რაღაცამ საშინლად დაიწკრიალა, თითქოს ათი დუჟინი ჭურჭელი ერთად მიამსხვრიესო და ყინულის სიომ, კარებიდან მონაქენმა, შუბლი გამიგრილა, გამომაფხიზლა.

— კაკ! კუკ! კაკ!—ისმოდა ნელა და მძიმედ კარების რაკუნი.

— ვინ ხართ, შემოდით, ღიაა!—გამოვეხმაური.

მაგრამ დათავება ნათქვამისა ვერ მოვასწარი, რომ უცბად კარები ზუილით გაიღო, საშინელი კორიანტელი და ქარი შემოვარდა და მთელი ოთახი თითქოს დააპროწიალა, თვალებიდან ცრემლები გადმომაყრევინა.

ჩემ წინ იდგა,—მაგრამ, უფრო ეკიდა ჰაერში,—რაღაცა ადამიანის რამ მზგავსი ყინულის ლანდი, რომელსაც თავით ფეხამდე ყინულისავე წვრილი და გრძელი ლოლუები ეკიდა და თვალისათვის ძნელად გასაშტერებელ ელვარებით უპრიალებდა. მთელი ეს ჩვენება ერთთავად ირხეოდა და ყინულის ლოლუებს დიპლიპიტოს ჩხირებივით წკრიალი და ყღარუნი გაჰქონდათ.

გამტერებული და თვალებ-დაჭყეტილი შევყურებდი, მაგრამ ამოღებას ხმისას ვერ ვახერხებდი, ყელი შემეკვროდა. გულიც თითქოს აღარ მიცემდა.

— ნუ გეშინიან! არასფერს არ დაგიშავებ!—მომესმა ნაზი, მწუხარე ქალის ხმა.

და მართლაც, აგერა, გავარჩიევი. ყინულის საბურველში მიმკრთალებული, მთლად გამხმარი, გაცრეცილი ქალის სახე მოსჩანდა. თვალები მიჰმქრალებოდა. უდროოდ დანაოჭებული, ღრმა მწუხარების გამომეტყველი სახე საბრალოსად ოდნავ გვერდზე გადეხარა, თმა ჩაშლილი თითქოს მუდარით შემომყურებდა.—ვინ არის, ნეტა, —ვფიქრობდი და თან უნებურად ტანში შიშის ჟრუანტელი მივლიდა, ვცახცახებდი.

— ნუ გეფიქრება! სული ვარ მე ოდესმე შენის კარგად ნაცნობ ქალისა და მოვედი, რომ გასაჭირში გიხსნა.

— ჰა? მიხსნა?.. როგორ?...—წამოვიძახე როგორღაც გატაცებითა და თითქმის მთლად წამოვიწიევი.

— მაგრამ ვერა გცნობ! ან ეგ საზარელი ყინულის საბურველი რას მოასწავებს?—ვეკითხებოდი და თან მოუთმენლად ველოდი, რას მეტყოდა, რითი მანუგეშებდა.

— რასა და უნუგეშო სიყვარულის შედეგს!.. საიდუმლო, რომელსაც გაიგებ ჩემგან, სულ უბრალოა.

— მითხარ, რას იტყვი,—შევემუდარე.

— მოიგონეთ, აბა, ვინა ვარ?.. ახალგაზრდამ, ჯერედ სიცოცხლით გაუხარელმა, უნუგეშო სიყვარული ვერა ვძლიევი და ამ ცეცხლის ჩასაქრობად მდინარის გაყინულ ზვირთებს მივმართევი; მინდოდა, ჩამენელებინა ვითომ. მაგრამ მარტო როდი ვყოფილვარ. ჩემთან ერთად ასი ათასი და მილიონი სხვა წევს ხავს-მოდებულ მდინარეებისა და ზღვების ძირში, გაყინული, ჩალორწვილი... ცეცხლი-კი სიყვარულისა მაინც არ ჩაგვნელებია, მუდამ ვარვარებს და ჯოჯოხეთად გადაგვქცევია...

— საბრალონი!—წამოვიძახე უცბად.

— სიბრალული ცოტაა! გული, რომელსაც ზეცამ ესოდენი სიმხურვალე და ძალა მიანიჭა, რომ ზამთრის ხანგრძლივი ყინვაც-კი ვეღარ ანელებს და სიღრმე და ჩრდილი უძირო ზღვებისა ვეღარ უჩრდილებს, ცნობიერად ჰხედავს თავისს ღრმა შეცდომასა, ჰგრძნობს იმასვე, რასაცა ჰგრძნობდა და ნუგეშს-კი მთლად მოწყვეტილია. დაჰკარგა ქვეყანა და შეინარჩუნა მხოლოდ-ღა გრძნობა, რომელსაც უამქვეყნოდ არსებობა არ შეუძლიან... ერთი სიტყვით, ჩვენვე ავირჩიეთ ის გზა, რომელზედაც თავისის სულგრძელებითა და მოწყალებით ზეცა აროდეს არ დაგვაყენებდა.

— მაშ, გრძნობა რისამ ქვეყნიურის კვლავ შეგიძლიანთ?!—ჩავეკითხე განცვიფრებული.

— როგორცა ჰხედავთ... ჩამხედეთ, აბა, თვალებში. ნუ-თუ ესოდენი მწუხარება და ნაღველი ექვსის წლის განმავლობაში ჯერ კიდევ ვერ ამოქრებოდა?.. მაგრამ თვითოეული წამი ტანჯვას გვიორკეცებს, მეხსიერება ჯალათად გვყავს და მოგონება გვაწამებს მხოლოდ. თვალის დაკვრა-კი იმ საგნისა, რომლის მსხვერპლიც ჩვენ შევიქმენით, არ შეგვიძლიან.. არ შეიწყნარა ზეცამ ჩვენი მოქმედება და სასჯელად დაგვდო, ქვეყნად ყველა გვაგონდებოდეს, გარდა სიყვარულის საგნისა... აღარც სახე, აღარც სახელი მისი ჩვენს ხსოვნაში არა სწერია... მთლად წაიშალა...

— საბრალო სული!—წამომცდა კიდევ.

— ნუ მიბრალებ, ნუ! მოისმინევი, რომ, რასაც გეტყვი, ქვეყანას მოუთხრა, გააფრთხილო. უკეთესს ჯილდოს, მადლს და საქმეს ვერ წაიმძღვარებ. „ცეცხლი და გენიამც გაგჩენიაო!“—ქვეყნად რომ იტყვიან ხოლმე, ეს მხოლოდ ჩვენზეა ზედ-გამოჭრილი. ყინვა გვზრავს გარედამ, შიგნით-კი ცეცხლი და გენია გვწვავს, და სული, ტანჯული მწუხარებით, მძიმედა გვხდება და არარა ვიცით, განთიადი თუ გვეღირსება... მოვკალით ვითომ სიყვარული ჩვენისავ ნებით!.. სასაცილო არ არის, განა?!. და ამ ქვეყნად-კი გლახაკთა და დავრდომილთა, ობოლთა და ჩაგრულთა, მწყურვალ-მშიერთა და დამაზრალთა გაისმის კვნესა!.. განა, ეს ჩვენი სიყვარული არ გაუთბობდა გულსა და არავის მათგანს არ ანუგეშებდა?.. განა, ეს-კი ზეცის წინაშე დიადი და სპეტაკი საქმე არ იქმნებოდა?.. დაგვეხშო თავკერძო სიყვარული და ქრისტესავით ხალხისათვის, ტანჯულთა და დავრდომილთათვის აგვენთო მისი ღვთაებრივი ლამპარი; ჩამოგვეწმინდა ცრემლი ტანჯვისა და ზრუნვითა და სიყვარულით გაგვეთბო იმათი გული, ვინც ამ ქვეყნად დევნილია, დავიწყებული!..

— ოჰ, საბრალო!..—შევძახე ახლა-კი ხმა მაღლა და წამოვდექი, ხელები გავუშვირე, რომ მისს გულწრფელს აღსარებასა და სინანულს თანაგრძნობით შევეგებებოდი, მაგრამ შემაყენა.

— არ გაბედო!.—აღარავითარი ქვეყნიური თანაგრძნობა და სიბრალული ვეღარ გაგვითბობს გულსა. არავითარი წყევლა-კრულვა და შეჩვენება, ზეცად თუ ქვეყნად, არ შეედრება იმ სატანჯველს, რომელიც რომ ბედმა გვარგუნა! თორემ აი, გაჩვენებ კიდეც. ყველა, ვინც-კი ჩემებრ ტანჯულა, ნება აქვს, დღევანდელს ქრისტეს შობის ღამეს ზე ამოვიდეს და სამარადისო ქვესკნელის ნოტიოს რამდენისამე საათით თავი დააღწიოს.

დაძრწიან საცოდავები ყველგან და სიყვარულის საგანს დაეძებენ, მაგრამ... აკი გითხარი, აღარც სახე, აღარც სახელი მათი აღარ ახსოვთ! შეიძლება გვერდით უდგნენ, როგორც ახლა შენ, პირში შეჰყურებდნენ, მაგრამ ვეღარა სცნობდნენ... გულს-კი ისევ მათი სიყვარული სწვამს, უნუგეშობა და მწუხარება, ღრმა, უიმედო, სამარის ლოდივით ზე დაგვწოლია და გვაკვნეს-გვავაებს... ძნელია წარმოსადგენად ის შინაგანი დაუშრეტელი წყურვილი უნუგეშო სიყვარულისა, რომელიც ჯალათად გადაგვქცევია. გაჰხედე, აბა, და ლანდმა ფანჯარას ფარდა გადასწია, გამოაღო.

— უ-უჰ!! ბრრ!!—დაიზრიალა ქარმა და გმინვას მოჰყვა, გაიბაბა. მთაწმინდა და მისი დაფოდება, სასახლის ქუჩა, პროსპექტი და ორივე ხიდი ხელის გულივით წინ გადამეშალა.

თმა-გაწეწილი, თეთრი, ყინულის ლოლუებით აკუწწლული საბრალო ლანდები ჯგროჯგროთ დაძრწოდნენ ყველგან და კვნესა-გმინვით რაღასაც დაეძებდნენ, ჩავარდნილი, ღრმად დამწუხარებული თვალები და ასეთივე გაცრეცილი, დანაოჭებული სახე უნუგეშო მუდარისა და სინანულის გამომეტყველად გარდაჰქმნოდათ...

— ვუიმე, დედი, ვიწვი!—ისმოდა ერთგან.

— გული, დედი, გული!—ისმოდა სხვაგან და ასე ყველა მხრივ მხოლოდ ტანჯვისა მესმოდა ხმები.

გულ-გადელილნი, ფერ-მიხდილნი, სხვები ჰაერში სცურავდნენ და სინანულით, მწუხარედ ზეცად აღეპყროთ ხელები, ნუგეშსა სთხოვდნენ. მთელი ჰაერი, არე-მარე კვნესას მოეცვა და ქარის ზუილიც, გამწარებული რომ ხან ერთს შენობას ეხეთქებოდა, ხან მეორეს, ბანს აძლევდა. შემეზარა, შემებრალნენ...

— მერე, ყველანი შენებრ ნანობენ?—ჩავეკითხე ჩემ გვერდით მდგომს სულს, რომელიც, ვხედავდი, თითქოს ილეოდა, დნებოდა.

— ყველანი!.. მაგრამ დავალება გახსოვდეს. თუ ოდესმეც არის გყვარებია, ან ჰყვარებიხარ ვისმე, მოუთხარ ქვეყანას, რომ თავკერძო სიყვარული საიქიოს ტანჯვის მეტს ადამიანს არას ანიჭებს: რომ ერთად-ერთი მაღლიანი და სპეტაკი მხოლოდ ქრისტეანული, ტანჯულთა და დავრდომილთა სიყვარულია; რომ მას შეუძლიან მხოლოდ ქვეყანას ნუგეში ჰსცეს, აღამაღლოს... ამაზე უკეთესს ვერას დასწერ, თუ მოახერხებ. მშვიდობით!

და უცბად ლანდი ცრემლად ჩამოდნა. ჩემ წინ მდებარე ქაღალდს რომ დავხედე, სამი სიტყვა ეწერა ვერცხლებრ მოელვარე სპეტაკ ცრემლითა: სიბრალული, სიყვარული, სათნოება...

დავიწყებული

შინ და გარედ

51.

„დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“.

რა დიდებული, რა ღრმა სიტყვა "მოესმა გაბოროტებულსა და დაქანცულ კაცობრიობას თითქმის ორი ათასი წლის წინად!

მოესმა, მაგრამ დიდებული სიტყვა სიტყვად დარჩა: სადაა კაცთა შორის სათნოება და ქვეყანასა ზედა მშვიდობა?.

კაცთა შორის გამწარებული ბრძოლაა არსებობისათვის, ქვეყანასა ზედა ომია და ძალმომრეობა. Homo homini lupus est. Para bellum, si vis pacem!..

სწორედ იმ დროს, როცა საქრისტიანო ქვეყანა დღესასწაულობს ნათელის ჭეშმარიტის დაბადებასა, როცა ქრისტიანი იგონებს კაცთმოყვარეობისა და მშვიდობის მქადაგებელ მაცხოვარს, განათლებული ევროპა მრისხანე ზარბაზნებით შეიარაღებულ გემებსა გზავნის შორეულს აღმოსავლეთში. ველურნო! მიიღეთ ჩვენგან მახვილი და ცეცხლი, ჯვრისა და სახარების მაგიერო!

დღეს, მკითხველო, ეკლესიაში შენ გაიგონე ზეციური ჰანგი—ქვეყანას ნათელი ჭეშმარიტი მოევლინაო; აბა ეხლა გადაიკითხე თუნდ დღევანდელი „დეპეშა“, რომლით განათლებულნი ერნი ერთმანეთს თავზარდამცემ ცნობას უგზავნიან კაცთა სისხლის ღვრის შესახებ. აი საშინელი და ტრაგიკული კონტრასტი ადამიანთა ისტორიისა, კონტრასტი უმაღლეს იდეალისა და სინამდვილის შორის!

ინკვიზიციის მამები ათასობით სწვავდნენ კოცონზე თვისთა მოყვასთ „ad majorem Dei gloriam“; აწამებდნენ და სტანჯავდნენ ადამიანთ „ღვთის სადიდებლად“. აქაც ისეთივე საზარელი ირონიაა ადამიანის ისტორიისა...

ეს კონტრასტი, ეს ირონია თავის საშინელებით გულს უკლავს და სასოებას უკარგავს არა თუ უბრალო მომაკვდავთ, არამედ ზეგარდმო ნიჭით ცხებულ რჩეულთაც, და გოდება, საზარელი გოდება ბაბილონის მდინარეთა კიდეებზე, დღესაც ისე გაისმის, როგორც გუშინ. ჰგოდებენ და სტირიან ადამიანის გაკერპებაზე, ერთა დამონავებაზე, მაშვრალთა დაჩაგვრაზე...

მაგრამ, გაკერპებულ ადამიანის აღსამაღლებლად, დამონავებულთა სახსნელად, ჩაგრულ-მაშვრალთა მოსასვენებლად ჯვარს ეცვა იგი ნათელი ჭეშმარიტი. უდიდესია მსხვერპლი ესე! უდიდესია ტანჯულთა მსხვერპლი კაცობრიობის წინმსვლელობის გზაზე და უნაყოფოდ ვერ ჩაივლის,—იმ ტანჯულ-

თა, რომელნიც სულსა თვისსა სდებენ მოყვასთათვის.

და მოვა დრო, როდესაც მოისპობა ბნელი უკუნეთისა, სრულიად გამეფდება ნათელი ჭეშმარიტი, დაიმსხვრევა ბორკილი მონათა, მოისვენებენ მაშვრალნი.

„მოვლენან დღენი, რომელთა შინა არა დაშთეს ქვა ქვაზედა, რომელთა არა დაირღვეს“.

მოვა დღე და აშენდება ეკკლესია, რომელსაც ველარ დასცემენ „ბჭენი ჯოჯოხეთისანი“ ..

გან

დანაშაული

(ჩემი მეგობრის ნაამბობიდან)

შჩეპკინა-კუპერნიკისა

ადამიანმა რომ იცოცხლოს, ჭამაა საჭირო, საჭმელი ჩვენ არ გვქონდა, სიკვდილი-კი სრულებით არა გვსურდა. ეს ადვილი მისახვედრია, თუ რომ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ მე მაშინ ოცდა ორი წლისაც არ ვიყავი, ჩემი ამხანაგი ანდრეი ხომ ჩემზე უმცროსი იყო.

ანდრეი დაბალის ტანისა იყო, თეთრთმიანი და ბავშვური სახე ჰქონდა. ჭრელი, მაგრამ ჭკვიანური თვალები ჰქონდა,—სწორედ ბავშვის თვალები.

ყველაზე საინტერესო, ჩემის აზრით, იმის სახეზე ცხვირი იყო: მეტად მსწრაფად იცვლიდა მით სახის გამომეტყველებას. ცხვირი წვრილი და წოწლოკინა, ისეთი, როგორსაც ხატებზე ჰხატავენ ხოლმე; ზოგჯერ ნესტოები ისე საოცრად შეითამაშებდნენ და გაიბერებოდნენ ხოლმე და ნაოჭ-ნაოჭად დალაგდებოდნენ, რომ ანდრეის უბრალო სახე მდიდარ და მშვენიერ სახედ გარდიქმნებოდა. ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც იგი ვისმეს ეკამათებოდა, ანუ რაიმეს კითხულობდა ისეთს, რომელიც მას გაიტაცებდა, ან არა და როდესაც თავის ჩინებულის ხმით მღეროდა ვოლგის სიმღერებს, თავის ხმით ჩვენი სარდაფის კედლებს ზანზარს დააწყობინებდა ხოლმე.

ანდრეი და მე ერთმანეთს შემთხვევით შევხვდით ამ სამის წლის წინად. ჩემგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო მე გიმნაზია ვერ დავასრულე და გამორიცხულ ვიყავ მერვე კლასიდან და მასთან უნივერსიტეტში შესვლის ნებაც არა მქონდა. რომ მეტ ბარგად არ გავხდომოდი ისედაც დიდს ოჯახს, რომელიც წვითა და დაგვით ირჩენდა თავს, აგრეთვე რომ არ გამეგონა მამის მუდმივი ყვედრება, რომელიც მუდამ სწყევლიდა ჩემს „უცნაურს საქციელს“ და ჩემს „მუქთამჭამლობას“, ამისათვის წავედი სახლიდან, საითაც-კი თვალნი ადამიანისანი რბოდნენ.

მე არავითარ საშუალებას არ ვთაკილობდი: ვმუშაობდი შენობებზე, რკინის გზებზე, ვწევდი მეჯინიბობას მაწანწალა ცირკებთან, მათთან ერთად მოვხვდი ერთს პატარა ქალაქს ვოლგას ახლოს, იქ ერთს ფაბრიკაში შევედი, ვმუშაობდი. ველარ გავძელ იქ და დავიწყე ხეტიალი. აი, სწორედ აქ გავიცან ანდრეი—**„ხმამ“ მიმიხმო მისკენ და მეც გავყევი.**

ანდრეი გლეხთაგანი იყო, ცოტა რამ თუ ესწავლა, მაგრამ ბევრი-კი ეკითხნა; მხატვართან თურმე სცხოვრობდა ოდესღაც ქალაქში, შემდეგ წიგნის მაღაზიაში ხელზე მსახურობდა,—და რასაც-კი ხელს მოჰკიდებდა, ყველგან მისი ნიჭი ცეცხლივით აფრქვევდა. ყოველისფერი მას უკედაც და ლამაზადაც გამოსდიოდა, ვინემ სხვას: დაიწყებდა სიმღერას, ან თუ შეშას სჭრიდა.

უკანასკნელს ზამთარს ჩვენ ცოტაოდენი ფული შევაქუჩეთ და გადავწყვიტეთ პატარა საგუბერნიო ქალაქში გვეზამთრა. პირველად თითქოს ყველაფერი ხელს გვიწყობდა მოსაწყობად: იქ მოვიდა პატარა დასი და მათს თეატრში მომუშავედ ჩავეწერეთ. რადგან ანდრეის სიმაღლე ხელს უწყობდა, ამისათვის არტისტად გამოჰყავდათ; ორჯერ, თუ სამჯერ გამოსასვლელი როლიც მისცეს. ერთხელ მსწრაფლ მოიჭრა სახლში, მერე ისიც მარტო კი არა, თან პატარა გოგო ახლდა ასე 16 წლის, წვრილის ტანისა, შუბლზე წამოვარცხნილის თმით, მტრედისფერ დიდ-თვალება, თავშალ მოხვეული და ჰუჰყიანის აბრეშუმის (კოფთით) ზედა-ტანით. მე გამიკვირდა,—ვიცოდი რომ ქალები ანდრეის არად ეპიტნავებოდნენ, უფრო ხშირად ერიდებოდა მათ. ეს-კი ხელ-მოჭიდული მოიყვანა, ქალი ცოტათი ბარბაცობდა, იღიმებოდა და ფეხზე ველარ დგებოდა.

— ეს რა არის, ანდრეი?

— ბავშვი!— მიპასუხა მან?— უნდა ვიხსნათ.

და შევუდექით მის ხსნას.

მოვაქუჩეთ რაც რამ ფული გვებადა და სამ და ათ შაურად დავიქირავეთ ოთახი — ქვრივის თეოპევტიევისას, სარდაფში.

ოთახში მე და ანდრეი მოვთავსდით, იქვე პატარა ოთახი იყო, იქაც ნუშა მოვათავსეთ ვიყიდეთ: ფინჯნები, ჩაიდანი და კიდევ სხვადა-სხვა ნივთი... ავეჯეულობა ქვრივისა იყო: კრავატი, სტოლი და თახჩები.

ნუშა ჩვენთან სცხოვრობდა. მოვალთ სამსახურიდან, იგი დაგვხვდება, ჩაის დაგვალევინებს, კარტოფილს მოგვიხრაკავს; ფეჩიც ანთებული დაგვხვდება, ყველაფერი სუფთადაა... თვითონ ნუშა ხან მღეროდა, ხან ხითხითებდა, ხანაც უცბად ტირილს მოჰყვებოდა და მთელს ღამეს ტირილში გაატარებდა. ანდრეის მუდამ განცვიფრებით უყურებდა; იგი მას ანნა ივანოვნას ეძახდა, ისიც მას ანდრეი პეტროვიჩს, მაშინ როდესაც მე მიშკას მეძახდნენ. ანდრეი წერა-კითხვას ასწავლიდა... მაგრამ იმას იგი თავში არ ჩასდიოდა. ღამ-ღამობით ტირილს მოუხშირა, მთელს ღამეებს ტირილში ათევდა და ერთს მშვენიერს ღამეს სადღაც გაჰქრა, თითქოს დედა-მიწამ ჩაჰყლაპა. მას შემდეგ ჩვენ იგი აღარ გვინახავს.

ჩემი ანდრეი დადარდიანდა. ხმას აღარ იღებდა და ბნელს ღამეზედ მეტად მოქუშული იყო ხოლმე. ყოველ ცისმარე დღეს გათენებისას ბრუნდებოდა სახლში,—სულ მუდამ ნუშას დაეძებდა. მაგრამ იგი კი ვერ იპოვა. ამ ხეტიალში ლოთობას მიეჩვია, რაიცა წინად არ სჭირდა.

ამ დროს ჩვენი ანტრეპრენერი გაკოტრდა და ჩვენც უსაქმოდ დავრჩით. ამრიგად ნუშას ხსნისათვის დაჭერილი სახლი-ღა შეგვრჩა ხელში და სხვა არაფერი. ორი თვისა ამ თავით მქონდა მიცემული. ყოველისფერი, რის გაყიდვაც-კი შეიძლებოდა, ნელ-ნელა გავყიდეთ. ათასში ერთხელ შემთხვევით სამუშაო თუ გამოგვიჩნდებოდა ხოლმე. ზაფხულობით ყოველთვის სჯობს: სამუშაოც მეტია, სოკო და ხილიც ხელს გიწყობს და კიდეც თბილა... ზამთრობით-კი მეტად ვწვალობდით. ნეკრასოვიც კი გავყიდეთ. უცბად ჩემი ანდრეი ავად გახდა. იგი ნუშას კრავატზე იწვა, ზედ თავის ძონძები წაეხურა და მძიმედ სუნთქავდა. მე მეუცხოვებოდა და მასთან მზარავდა, რომ ასეთი ჯან-საღი და უზარმაზარი ვაჟკაცი უძრავად და უიმედოთ იყო გაშოთილი კრავატზე. სახე გავარვარებული ჰქონდა, ხმა მიკმენდილი და ჩუმად, მაგრამ სიჩქარით-კი რაღაც უაზრო სიტყვებს ბოდავდა. სულ ბოდვაში იყო. ვიღაცას საღლაც არ უშვებდა, უბრძანებდა რიღაცისათვის ხელი არ ეხლოთ. ნელა თავის სიმღერებს დაჰღიღინებდა... ზოგჯერ თითქოს გონზედ მოდიოდა, ნელა ოხრავდა და მომჩერებოდა თავის ნათელის თვალებით.

ამაოდ ვანთებდი ფეჩს მეზობლის ეზოებში მოგროვილის ნაფოტით და ნაგვით, ამაოდ ვწვავდი კარტოფილს ნაღვერდალში, ვფცქვნიდი მას სიფრთხილით და ვდებდი მარილმოყრილ შავი პურის ყუაზედ და ვთავაზობდი ანდრეის. იგი უარის ნიშნად თავს იქნევდა და არ სჭამდა.

მივხვდი, რომ საჭმლის თავი არა ჰქონდა და სულ მუდამ ჩაის ვასმევდი. როდესაც ცოტა მეტს წავიმუშავებდი, მაშინ ხინასაც ვუყიდდი ხოლმე. ბოლოს ანდრეის ძლიერმა ბუნებამ თავისი ჰქმნა და დასთრგუნა ავადმყოფობა: გამოვიღვიძე დილით, სწორედ შობის წინა დღე იყო, მომესმა ნელი ხმა:

— მიშკა!

იგი იწვა და მე მიცქეროდა. სრულიად გაწმენდილი, მოკრიალებული თვალები ჰქონდა, სახეც აღარ უვარვარებდა.

— რა გგონია, ჩემო ძმაო, მე ცოცხალი დავრჩი!—სთქვა იმან და სცდილობდა გაეცინა.

— ეშმაკმა წაიღოს შენი თავი!— წავიბურტყუნე მე, ამასთან ვცდილობდი ჩემში აღგზნებული სიხარული შემეკავებინა.—ტყუილად შემაშინე!

— ჰა, დაიწყე ბურტყუნი?!

ამ სიტყვებით მივესაყვარლეთ ერთმანეთს მეგობრები. კარგად-კი ვიცოდით მე და ანდრეიმ, თუ რა დაგვიჯდა იგი.

— შენ რაღა... ეხლა?—სთქვა და გაჩუმდა იგი.

— თოვლსა ვყრიდით... ვაჭარ გრომოვიანთსა.

— იშოვე რამე?

— კარგად ვიშოვე!—დიდის რიხით მივუგე და ის კი აღარ ვუთხარ, რომ ამ ჟამად ჩემს ჯიბეში, თუ ჯიბეს დავუძახებთ ჩემი კურტკის მზგავს საცმელის ნახვრეტს, გახვრეტილი გროშიც არ მოიძებნებოდა.

— ეხლა?

— რა ეხლა? ეხლა დღესასწაულებია.

— ნუ თუ მართლა?!

— ხვალ შობაა.

— რას ამბობ? მაშ ეს ამოდენა ხან ვგდებულვარ ლოგინში?!

ანდრეი ისევ გაჩუმდა. დიდ-ხანს სდუმდა. ეტყობოდა, ლაპარაკით დაღლილიყო.

მერე უცბად შემომხედა და თავის სუსტის ხმით და მასთან ნეტარების ღიმილით მითხრა:

— ეხლა დიდის სიამოვნებით ვჭამდი რასმე!

— რას ამბობ მაგას! სიხარულით წამოვიყვირე, მაგრამ ამავე დროს გულში საშინელებას ვგრძნობდი.—თუ აგრეა, ამ წუთშივე შეიძლება!—მე განვაგრძე ჯდომა, დაბნეულად ვიღიმებოდი, ვცდილობდი ჩემი უხერხული მდგომარეობა არ გამემხილა და თანაც თავს ვიმტვრევდი უუდიდესს ფინანსიურ ამოცანის გადაწყვეტისათვის: როგორ მოვიპოვო რაიმე საჭმელი, როდესაც არც ფული გამაჩნია და არც ნდობა.

— ცხელ-ცხელ ჩაის დავლევდე მე ეხლა, ზედ მოხრაკულს ძეხვს მივაყოლებდი... ან რა კარგი იქმნებოდა ეხლა ცხელ-ცხელი კომბოსტოს წვენი!—ოცნებობდა ანდრეი. იმას, როგორც ყველა ძნელის ავადმყოფობისაგან მორჩენილს ადამიანს, ეგონა, რომ ყველაფერს დაანადგურებდა, რასაც კი მიაწვდიდნენ. გახსოვს ერთხელ სილანტიჩთან მე და შენ რომ ვჭამეთ? სოლიანკა ტაფაში მოხრაკული... ოოჰ, გემრიელი რამ იყო! შიგ ყველაფერი იყო: კიტრი, კომბოსტოც და თევზიც... განაგრძო მან თავისი ოცნება და თან ტუჩებს პატარა ბავშვივით იწკლიტუნებდა. მე შეუმჩნევლად ოთახიდან გამოვიპარე და გავემართე თეოპევტოვის ქვრივისაკენ.

ამ დროს იგი ჩაისა სვამდა წითელ წვერა მედავითნესთან ერთად და გვერდზედაც თავისი ორი შვილი უჯდა: ქალი ყბა-ახვეული და თორმეტის წლის ვაჟი. შესვლისთანავე ალმაცერად შემომხედა და ჩამეკითხა:

— ნუ თუ ფული მომიტანეთ? მე კი იმედი არა მქონდა.

— არა, სნანდულია ტიმოფეევნა, ვცდილობდი თავაზიანად და ქლესურად შემეპარებინა პასუხი.—თუ რომ მოიგონებთ, ვადა სახლის ქირისა მხოლოდ სამს რიცხვში...

— მე კი დღესასწაულებამდის გთხოვეთ... თქვენ კარგად იცით, რომ ფული საჭიროა...

— როგორ არ ვიცით, სნანდულია ტიმოფეევნა, მაგრამ რას ვიზამთ? ცოტა მოგვითმინეთ, თქვენ დიდ-სულოვანობა გვიბოძეთ... მე პირიქით გიახელით თქვენთან უმდაბლესის თხოვნით.

— კიდევ რა?—მომახალა მრისხანე კითხვა.

— გეთაყვათ, დაასხით კრუშკაში ჩაი და მოსჭერით ერთი ნაჭერი პური, გთხოვთ შესწუხდეთ! ჩემი ამხანაგი კარგად გახდა, ჩაის მთხოვს... სახლში-კი არა გვაქვს. იცით, სულ გათავდა... ყიდვა ველარ მოვასწარი.

— ვერ მოასწრო! ვიცით როგორც ვერ მოასწარით. გამგმირავის სიძულვილით სთქვა ქვრივმა, მაგრამ ამასთანვე ადგა, დაასხა ჩაი, მოსჭრა პური და გადმომცა ყველა ეს მე, ამასთან დიდი ფიცით დაიფიცა, რომ ეხლა უკანასკნელად იძლევა ამას, არამც თუ არაფერს მომცემს, პირიქით, თუ სამის დღის უკან დილა ადრიანად ფულს არ მივსცემ, მაშინვე პოლიციით გარედ გამომაგდებს, ვინაიდან იგი საწყალი ქალია და ყველას შეეძლება მისი დაჩაგვრა.

ყველა ეს მოწიწებით მოვისმინე, წყნარად და სიმდაბლით თავი დავუკარ, მადლობა მოვახსენე და წამოვედი, თან ზიზღის და სიძულვილის თვალი გამომაყოლეს მედავითნემ, ყბა-ახვეულმა ქალმა და პატარა თეოპევტოვმა. მივედი შინ და ჩაი და პური მივაწოდე ანდრეის, თანაც სიამოვნებით ვუცქეროდი, როგორ სიამოვნებით სჭამდა იგი და ლოყეები თან და თან როგორ ულვივდებოდა და უწითლდებოდა.

— კიდევ! მოითხოვა მან გაათავა-რა ჩაი.

— სამოვარი ჩაქრა, ანდრიუშა!—ჩაწყვეტილის ხმით ვუპასუხე შემდეგ უფრო კარგი პასუხი მომივიდა ფიქრად.—არც შეიძლება ბევრის ჭამა აგრე უცბად! სალამოზე კიდევ მიიღებ, ეხლა-კი მშვიდობით, [illegible] უნდა წავიდე.

და მსწრაფლ სახლიდან გამოვიპარე ფულის საშოვნელად. „ის ბებერი ალ-ქაჯი აღარაფერს მომცემს, ეს ცხადია“ ვფიქრობდი ამ დროს. საჭირო კია ერთი მერვედი ჩაი... პური... კარგი ძეხვი... კარგი ახალი თევზი... რითი უნდა ვკვებო იგი.?“ მეკ აქეთ-იქით მივტრიალ-მოვტრიალდი, ყველგან ვკითხულობდი სამუშაოს, ნაგვის გადამყრელებთანაც ვიკითხე, ფაბრიკებშიაც, თოვლის გადამყრელებთანაც და ყველგან ამას მიპასუხებდნენ:

— ეხლა რა სამუშაო იქმნება? დღესასწაულებია!

არავითარი იმედი აღარ იყო. ხელ-ცარიელი დავბრუნდი შინ, მთელი დღე ვიწოწიალე, დავიქანცე და ორი შაურიც კი ვერსად ვიშოვე. ანდრეის რიხით გამოვუცხადე, რომ ვიყავ აფთიაქში და ექიმმა მითხრა: არამცა და არამც განკურნების პირველს დღეს არაფერი აჭამოთო.

რასაკვირველია, ანდრეის ამით ვერ დავაჯერებდი, რომ ისეთის გადაჭრით და რიხით არ მეთქვა. არ ვიცი დამიჯერა თუ არა, მაგრამ კი აღარ უთხოვნია, იგი ამ დროს წამოწოლილი ანთებულს ფეჩს შესცქეროდა და ხმა-მაღლა ოცნებობდა:

— ხვალ უსათუოდ... ჰიქა არაყი... და მოხრაკული ძეხვი უნდა მქონდეს.

ეტყობოდა, ძლიერ უნდოდა ეს „ძეხვი“. ისეთის ნაზის, ბავშურის ხმით თხოულობდა, რომ საცოდაობისაგან ვიწვოდი, და მასთან ჩემი თავი მავიწყდებოდა, მთელი დღე ნაწილი არ ჩასულა ჩემს პირში.

ჩვენს პატარა ქალაქშიაც კი ასტყდა მოძრაობა დღესასწაულების მოლოდინში. ხვალ შობა იყო. ქვრივის თეოპევტევის სამზარეულოს გვერდზე გავუარე და ცხვირში მეცა მოხრაკული თევზის და სამარხო წვენის სუნი. გულის კოვზთან მეღრღინა და გაორკეცებულის ენერგიით ქუჩისკენ გავეშურე.

ყველაფერს ჩვეულებრივად მხიარულობა ეტყობოდა. ჰაერში ვაშლის, იოლკის და შობის სუნი ტრიალებდა. მაღაზიები ათასფრად ბჭყვრიალებდნენ, დიასახლისები და მზარეულები მიეშურებოდნენ სანოვაგის კალათებით, რომლიდანაც გამოიყურებოდა ღორის ლორი, ანუ უმანკო სახე დაკლულის გოჭისა. გაჰქონდა და გამოჰქონდათ ჭრაჭუნი მაღაზიის კარებს, მიჭრიალებდნენ დატვირთული მარხილები, მოისმოდა ბავშვთა ხმაურობა და სიცილი.

მე უკვე დიდი ხანია ნახევარი ქალაქი შემოვიარე.

ყინვა თანდათან უჭერდა და ჩემის დაგლეჯილ „პალტოს“ ჭუჭრუტანებიდან შემოჰქროდა—მაგრილებდა. მეტის-მეტი სიცივისაგან ვიკუნტებოდი, ვიბღუნძებოდი და ჩემი თარეში, ძებნა ამაოდ დარჩა.

ერთი-ღა დამრჩენოდა: ხელი სათხოვრად გამეშვირა. ჩემი თავისათვის მას არასოდეს არ ჩავიდენდი... მაგრამ ანდრეი?

წარმოვიდგინეთ, რომ იგი უპატრონოდ წევს, სისუსტისაგან ვერ განძრეულა და მასთან მშიერი, უსმელ-უჭმელი! თავბრუ დამესხა ამ ფიქრით.

ვინ იცის მიცადოს, მერე ილაჯი გადაუწყდეს ცდით და იფიქროს, რომ მე იგი მივატოვე? რითი დავბრუნდები მე მასთან? კვლავ დავინახავ მისს ბავშურ თვალებს, გულ-უბრყვილო ღიმილს, გავიგონებ იმავ სუსტს ხმას... მერე მე რას მივცემ? მაშ უნდა მოწყალება ვითხოვო?

მეც იქამდის ვიყავ მშიერი, რომ უუდიდეს ბედნიერებად ჭამა ვიცნე, ჭამა სიმაძღრემდის, უსაშინელეს უბედურებადაც—სიმშილი მერე, ისიც ავადმყოფისათვის: იმისათვის ეხლა ძალის მოკრებაა საჭირო.

ნუ-თუ მართლა არაფრით შემიძლიან მისი შველა? მომაგონდა ერთხელ ავად როგორ გავხდი და სამი ვერსტი მხრებით აკიდული როგორ გამატარა; ერთხელაც ვოლგაზე მორევიდან როგორ ამომათრია. ნუ თუ ეხლა მე მას ვერ გადავარჩენ? დაე, რაც იყვეს, იყვეს, მოწყალებას მოვითხოვ, აქ რაღა ფიქრია საჭირო. დავიწყე მოწყალების თხოვნა, მაგრამ...

პირველმა კაცმავე ლანძღვა-გინებით ამიკლო —იმუშავეო.

ცას ავხედე. იგი ცოტათი ბნელდებოდა; ლილის ფრად შეღებილ მის სივრცეში ვარსკვლავიც აენთო.—„ვარსკვლავის ამოსვ-

ლამდე ჭამა არ შეიძლება“, მომაგონდა ბავშვური ჩვეულება. „საწყალი ანდრეიც მოელის, იგიც უცქერის შობის ვარსკვლავს... მაგრამ ვერას ეღირსება“.

დავჯექ კუნძზედ, მივიფარე თვალებზე ხელი და ვიგრძენ, რომ ვსტიროდი. არ მახსოვს რამდენს ხანს ვიყავ ასე... ბოლოს ავდექი და ბარბაცით, უაზროთ დავიწყე ხეტიალი.

მივადექი სახლს, ვიდექ და არ ვიცოდი: შევსულიყავ ანდრეისთან და ყველაფერი შემბნა მისთვის, თუ არ დავბრუნებულიყავ სახლში... უცბად ერთი რაღაცა შავი წერტილი დავინახე. იგი თანდათან იზრდებოდა, დიდდებოდა და გარდაიქმნა პატარა შავ-ძაღლად, რომელიც ლამაზად იყო შეკრეჭილი, ბჭყვრიალა საყელო ჰქონდა გაკეთებული ყელზე და კალათა ეჭირა კბილებით.

იგი აუჩქარებლივ მიდიოდა. ჩემს დანახვაზე კუდი შეათამაშა. იგი ნაცნობი ძაღლი იყო ვაჭარ გრომოვიანთი. დიდად დამეგობრებული ვივავ მასთან, როდესაც გრომოვიანთსა ვმუშაობდი.

— ფომკა!—დავუძახე იმას.

ფომკამ თვალები მომანათა და ცოტათი გაიღიმა, კბილებიდან კალათს არ უშვებდა. უცბად გადმომევლინა ერთი აზრი. მივვარდი ფომკას, ელვის სისწრაფით გამოვგლიჯე კალათი და, მიუხედავათ მის წკმუტუნისა და ყეფისა, საჩქაროზედ ეზოში გადავეშვი და მაგრად ჩავკეტე კარები. შემდეგ სარდაფში ჩავირბინე, ჩავიკეტე ოთახის კარები და დავუწყე სინჯვა-ამოლაგება კალათიდან. საქმე იმაშია, რომ ფომკას ხშირად ჰგზავნიდნენ ხოლმე გრომოვიანი ბარათით მედუქნესთან სავაჭროდ და ჭკვიანი ძაღლიც კეთილ-სინიდისიერად და უვნებლად ჩაბარებდა ხოლმე მას პატრონს.

კალათაში მართლა სანოვაგე აღმოჩნდა: გირვანქა ჩაი, გირვანქა ყავა, ერთი დიდი კოლოფი სარდინკის თევზი, ორი „პეკლევანის“ პური და ღვთის განგებით—ერთი მთელი მოხარშული ძეხვი.

ერთის თვალის დახამხამებაზე დავცალე კალათი, ჩავდე შიგ აგური, ქაღალდივე დავაფარე და უკანვე წავიღე.

ამ დროს ძაღლი მოუსვენრად ფხაჭნიდა ეზოს კარებს, ბღაოდა, წკმუტუნებდა, ჰყეფდა და თავს აქეთ-იქით გამწარებით იქნევდა. დამინახა მე, მაგრამ მაინც ისევ ჰყეფდა, უკანა ფეხებზედ შედგა და სცდილობდა კალათამდის ამომხტარიყო. მეც საჩქაროზედ ჩავჩარე პირში კალათის ყური... მან სამდურავ-ყვედრებით შემომხედა და შურდულივით სახლისაკენ გაექანა, ალბად, ძლიერ სწუხდა და ნანობდა, რომ არ შეეძლო დაწვრილებით ეამბნა თავის პატრონისთვის ყველა ეს.

ყავა და ჩაი იქვე ახლოს დუქანში ფულზე გამოვცვალე, ანდრეისთვის არაყი, ერთი მერვედი ჩაი წამოვიღე და სახლში წამოვედი.

შობა-ღამეს ანდრეის ვახშამი ჰქონდა, ჩემს სინიდისს-კი—ერთად-ერთი ეს ქურდობა მთელს ჩემს სიცოცხლეში.

არც ანდრეი, რომელიც ეხლა შესანიშნავ კაცად არის ცნობილი, და არც მე, რომელიც ხალხში გამოვერიე, არასოდეს არ დავივიწყებთ ამ შობის-ღამეს, და მას შემდეგ ისეთის სიამოვნებით და სიტკბოებით არასოდეს არ გაგვიტარებია შობა-ღამე.

ალ. სოლოლაშვილი

საზღვარ-გარედ

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

შორეულ-აღმოსავლეთის საქმე

ინგლისური გაზ. „პალმ მალ გაზეთ“-ი სწერს: იაპონიის ელჩმა ბარონ გაიაშიმ 18 დეკემბერს უთხრა ჩვენს თანამშრომელს, რუსეთ-იაპონიის დავა მალე გადასწყდებაო.

„დეილ ტელეგრაფ“-ი იუწყება: ვაშინგტონში ტოკიოდან დეპეშა მიიღეს, შორეულ-აღმოსავლეთში უსათუოდ ომი მოხდებაო.

„მორნინგ პოსტ“-ი მოწინავე წერილში ბეჯითად თხოულობს, ინგლისმა ეხლავე უნდა გამოაცხადოს, რომ იაპონიის მხარეს დაიჭერს. თუ ინგლისი იაპონიას დაეხმარება, რუსეთი მოკავშირეს ვეღარ იშოვისო.

„დეილი ტელეგრაფ“-ის ტოკიოელი კორესპონდენტი ბ-ნი ბურლეიგი სწერს: ეხლა იმედი აღარაა, რომ შორეულ-აღმოსავლეთის საქმე მორიგებით გათავდეს, მით უმეტეს, რომ იაპონიამ თავის საფინანსო საქმეები რიგზე მოაწყო.

ერთს გამოცდილ და მცოდნე გერმანელ დიპლომატს „ნოიე ფრაიე პრესე“-ს კორესპონდენტისათვის უთქვამს: „ამ უკანასკნელ წუთამდე იმედი მქონდა, რომ საქმე მშვიდობიანად გადასწყდებოდა, ეხლა კი მორიგების იმედი გამიწყდა. ჩემის აზრით, რუსეთსა და იაპონიას უსათუოდ ომი მოუხდებათ“. ამ დიპლომატს ყოველ დღე დეპეშები მოსდის თურმე ტოკიოდან.

ამერიკული გაზ. „ნიუ-იორკ-ჰერალდი“ სწერს: ამერიკის მთავრობა დიდის ყურადღებით ეკიდება შორეულ-აღმოსავლეთის საქმეს. ჩვენი გარეშე საქმეთა სამინისტრო ძალას ატანს კორეის მთავრობას, რომ ნავთსადგური იოჩეუ საერთაშორისო ვაჭრობისათვის გაიხსნას, ამავე დროს ამერიკის მთავრობა პეკინშიაც მედგრადა ცდილობს, რომ ჩინეთის მთავრობას ახალი სავაჭრო ხელ-შეკრულობა დაამტკიცებინოს და მუკდენი და ანდუნი საერთაშორისო ვაჭრობისათვის გაახსნევინოს.

ჩინურ პრესის აზრი მანჯურიის საქმეზე

„სავაჭრო-სატელეგრაფო სააგენტოს“ დეპეშით ატყობინებენ პეკინიდან: „18 დეკემბერი. ჩრდილოეთ-ჩინეთის პრესა ამ ჟამად მხოლოდ მანჯურიის საქმეზე-და სწერს და გულმოდგინედ ცდილობს, რომ ჩინეთის მთავრობას რუსეთისათვის ომი გამოაცხადებინოს. გაზ. „შუჩ-ტიან-შიბაო“ სწერს: ხმა გავრცელდა, ვითომ ჩვენ მთავრობას რუსეთთან კავშირი ჰსურდეს: იქნება ეს ხმა ტყუილიც იყვეს, მაგრამ ჩვენი მთავრობა მაინც მეტად მძიმედა და დუნედ იქცევა. ამისთანა საშიშ დროს ჩვენ მთავრობას ნამდვილადა სძინავს. ჩინეთმა ეხლავე ომი უნდა გამოუცხადოს რუსეთს. იაპონია უსათუოდ დახმარებას გაგვიწევს, იმიტომ რომ პირველი, მანჯურიაში რუსეთის ბატონობა იაპონიის ინტერესებს ეწინააღმდეგება და ჩინეთის უმაღლეს უფლებასა და დამოუკიდებლობას არღვევს, იაპონია კი ჩინეთის დამოუკიდებლობას იცავს; მეორე, რუსეთმა რომ მანჯურიიდან ჯარი არ გაიყვანოს, უსათუოდ კორეიასაც დაიჭერს; მესამე, იაპონია რუსეთის ჯავრის ამოყრას ცდილობს, რადგან რუსეთმა ლიაოდუნის ნახევარი-კუნძული ხელიდან გამოჰგლიჯა; მეოთხე, თუ მანჯურია რუსეთის ხელში დარჩება, ჩინეთი ნამდვილად დაიღუპება და შორეულ-აღმოსავლეთის უშიშროება მუდამ განსაცდელში იქნება, ამიტომ იაპონია ვერ მოითმენს, რომ მანჯურია რუსეთმა შეინარჩუნოს; მეხუთე, იაპონია ვერ მოითმენს, რომ მანჯურიაში უცხოელებს ვაჭრობა აეკრძალოსთო“.

გაზ. „ჩჟიბაო“ ამბობს: ჩინეთმა წინ დაწინ ყველა სახელმწიფოს უნდა შეატყობინოს, რომ რუსეთი მანჯურიის დასაკუთრებას ცდილობს და ეხლავე ომი გამოუცხადოს რუსეთს. იაპონია უეჭველად დაეხმარება ჩინეთსაო.

„დაგუნბაო“-ც ამავე აზრისაა: თუ არ გვინდა, რომ დიდმა სახელმწიფოებმა ჩინეთი გაიყონ, ეხლავე ომი უნდა გამოვუცხადოთ რუსეთსაო.

„ჟიჟი სინვენ“-ი ურჩევს ჩინეთის მთავრობას: მანჯურიაში ხელს ნუ აიღებთ, ღირსეულად მოიქეცით და ომსაც ნუ მოერიდებითო.

ჩინელებისა და იაპონელების დაახლოვება

ბევრჯელ გვქონია მოხსენებული, რომ იაპონელები ჩინელების გაღვიძებასაც ცდილობენო. რუსის მწერალი ბ-ნი სეროშევსკი ამის თაობაზე „რუსკია ვედომოსტ“-ში შემდეგსა სწერს: „იაპონელებს სწადიანთ, რომ აღმოსავლეთ აზიაში სახელმწიფოთა ფედერაცია შეჰქმნან. იაპონელებს უნდათ, რომ აზიაში ამერიკის მსგავსად თავისუფალი, განათლებული, ბედნიერი შეერთებული შტატები დაარსონ და ხარბ მტაცებელ ევროპიელებს წინააღმდეგობა გაუწიონ. ჯერჯერობით იაპონელები იაპონიისა, ჩინეთისა და კორეის შეერთებას ცდილობენ. მე მითხრეს, რომ ამნაირ აზრების გასავრცელებლად იაპონიის ახალგაზრდობამ საიდუმლო საზოგადოება დააარსა და ამ საზოგადოების წევრთ დიდი მიწერ-მოწერა აქვთ გამართული ჩინელ ახალგაზრდობის ამნაირსავე საიდუმლო წრეებთანაო. ჩინელი ახალგაზრდა ქალები, თუ ვაჟები დიდის ხალისით მიდიან ტოკიოს უნივერსიტეტში სასწავლებლად; იაპონელებიც დიდის სიხარულითა და აღტაცებით უხვდებიან თავიანთ ჩინელ ამხანაგებს. ჩინელი და იაპონელი სტუდენტები საერთო კრებებს ახდენენ და ერთმანერთთან დაახლოვებას ცდილობენ. ამბობენ, ბოქსიორთა აჯანყების დროს იაპონელმა ახალგაზრდობამ ჩინელ პატრიოტებს მეომრები და ფული გაუგზავნაო. ეხლა მთავრობის წრეებშიაც-კი ბევრი ჰფიქრობს, იაპონია ძლიერ შესცდა, რომ 1900 წელს სხვა დიდ სახელმწიფოებს მიუდგა და ჩინელების წინააღმდეგ ჯარი გაჰგზავნაო.

ახალი ამბავი

◆ 1904 წელს, 6 იანვარს „ტფილისის კრუჟოკის“ დარბაზში გაიმართება ჩვეულებრივი **თავად-აზნაურობის ბალი,** რიცხვით მე-25, ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის სასარგებლოდ. ბალის დიასახლისმა კნ. მარიამ ვახტანგის ასულმა ჯამბაკურ-ორბელიანმა მიიღო ყოველი ღონისძიება, ბალი რაც შეიძლება ბრწყინვალე იქმნეს.

◆ სან-ლუის **მსოფლიო გამოფენაზე** კავკასიის განყოფილების მომწყობ კომიტეტს 4000 მანეთი აქვს კავკასიის შინა მრეწველობის ნაწარმოებთა შესაძენად. ამ ნაწარმოებს გამოფენის შემდეგ ამერიკაშივე გაჰყიდიან.

◆ „კასპი“ საინტერესო ცნობებს გადმოგვცემს **გადმოსახლებულ რუსთა** შესახებ. დღემდე 55 ადგილას 86,615 დესეტინა მიწა დაუმზადებიათ რუსთა გადმოსასახლებლად. ამ ადგილებზე უნდა დაასახლონ 13,000 სული. ტფილისის გუბერნიაში 12 ადგილია, განჯისაში—20, ბაქოსაში—14, ერევნისაში—4, ყუბნის ოლქში—3, დაღესტნისაში—1, თერგისაში—1. ზოგიერთ ადგილას დაასახლეს კიდეც რუსები.

◆ მთავრობას შეუწყნარებია შუამდგომლობა შავი ზღვის პირად მდებარე **სოფელგელენჯიკის** პოსადად გადაკეთების შესახებ.

◆ 22 დეკემბერს ტფილისის სათავადაზნაურო საადგილ-მამულო ბანკში მოხდა **საჯარო ვაჭრობა** სოფლის იმ მამულების გასასყიდად, რომელთა პატრონებმაც ფული არ შეიტანეს. გასასყიდი იყო 10 მამული, გაიყიდა 5. გაყიდულ მამულებზე ვალი ითვლებოდა 31,083 მან. 07 კაპ. გაიყიდა 33,441 მან. გაყიდულ მამულებიდან 3 მამული ქართველისაა.

◆ ამ ბოლო დროს დურგალთა **ამხანაგობის „შრომის“** საქმეები კარგად მიდის. სამუშაო მოემატა, ამიტომ განზრახულია ამხანაგობის გაფართოვება. გამგეობამ შეიმუშავა მოხსენება ამხანაგობის საქმეთა გაფართოვების შესახებ. ამხანაგობის სახელოსნოში შეგირდებს გარდა ამ ჟამად 20 ხელოსანზე მეტი მუშაობს. ამხანაგობის სახელოსნოს იმდენი საქმე აქვს შეკვეთილი, რომ 1000 მან. სამუშაოს შესრულება მომავალ წლის იანვრისათვის გადასდო. გამგეობამ მაღაზია გახსნა ამ დღეებში მიხეილის ქუჩაზედ, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, სადაც მრავალი ავეჯეულობაა გამოფენილი.

◆ გუშინ ტფილისის ქალაქის მოურავმა **გუბერნატორის მოწერილობა მიიღო.** გუბერნატორი სწერს: გაზეთების ცნობებით და აგრეთვე კერძო მიწერ-მოწერით გავიგე, რომ ტფილისის ბაზარში ვაჭრები ღორის ხორცს ჰყიდიან უნიხროდ თავის მიერ დადებულ ფასად. ქალაქის საბჭომ შარშან 25 ნოემბერს შეიმუშავა ღორის ხორცის ნიხრი და მეც დავამტკიცე. ვიდრე ეს ნიხრი არ შეიცვლება, ყოველი საშუალება იხმარეთ, რომ ყასბებმა ნიხრზე მეტი არ გადაახდევინონ მცხოვრებთაო. გუბერნატორი აგრეთვე სწერს ქალაქის მოურავს, დაავალოს სავაჭრო-სამეურნეო პოლიციას თვალ-ყური ადევნოს, რომ ყველა ის სანოვაგე, რომელზედაც ნიხრია დაწესებული, ნიხრზე მეტ ფასად არ იყიდებოდეს.

◆ გუშინ, 24 დეკემბერს, ტფილისის ქალაქის მოურავმა დაავალა სავაჭრო სამეურნეო პოლიციის უფროს ზედამხედველს, განკარგულება მოახდინოს, რომ სავაჭრო პოლიციის აგენტებმა მეტი ყურადღება მიაქციონ ბაზარში იმ სანოვაგის ვაჭრობას, რომლებზედაც დანიშნულია ნიხრი. ქალაქის მოურავმა სთხოვა გუბერნატორს, უბრძანოს ქალაქის პოლიციას, რომ პოლიციის მოხელეებმა ამ საქმეში დახმარება გაუწიონ სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტებს.

◆ ამას წინად დაწვრილებით გვქონდა აღნიშნული დადგენილება **ავლაბარში იმ ადგილის** დამფასებელ კომისიისა, რომელიც სამხედრო წოდებას დაეთმო. კომისიის დადგენილებისამებრ ქალაქის საბჭომ ეს ადგილი დააფასა 600,000 მან. გუშინ ქალაქის გამგეობამ მისწერა გუბერნატორს, წინააღმდეგი ხომ არ იქნება გამგეობამ ეხლავე სისრულეში მოიყვანოს საბჭოს დადგენილება და მოსთხოვოს სამხედრო უწყებას 600,000 მანეთი.

◆ ტფილისის **ფოსტა-ტელეგრაფის** ოლქის უფროსს ნებართვა მოსვლია პეტერბურგიდან სადღესასწაულოთ 3600 მანეთი დაურიგოს საჩუქრად ზოგ-ზოგ მოხელეებს.

◆ რედაქციამ მიიღო გამოცემა „წ. კ. საზოგადოებისა“ **„ბურჯნი ეროვნებისა“,** თხზ. იაკობ გოგებაშვილისა. მეორე გამოცემაა, ბევრად შევსებული. წიგნი ძალიან კარგად არის გამოცემული და ღირს ერთ აბაზად.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობას აზრადა აქვს დააწესოს საყასბოს გამგის თანამდებობა. წინად იყო ისეთი თანამდებობა, მაგრამ მერე გააუქმეს.

◆ 28 დეკემბრისთვის დანიშნულია კრება ტფილისის ხელოსანთა დეპუტატებისა და უსტაბაშებისა მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვის განსახილველად, სარევიზიო კომისიას წევრთა ასარჩევად და სხვა საქმეების განსახილველად.

◆ ავლაბრის მე-2 საქალაქო სასწავლებლის ქართულ ენის მასწავლებლად ტფილისის სასწავლებელთა გამგე კომისიამ ამას წინად დანიშნა ქ-ნი ყაზახიშვილი და მახათაძე. ქალაქის გამგეობამ მიიღო ეს არჩევანი და გუშინ კიდეც წარუდგინა სახალხო სკოლების დირექტორს დასამტკიცებლად.

◆ რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალის „ჯეჯილის“ მე-12 ნომერი ამ შინაარსისა:

ჩემი დედოფალი ლექსი—შ. მღვიმელისა. საშობაო გოჭი—ს. ციციშვილისა. მწევარი და კურდღელი (იგავი)—ალ. მირიანაშვილისა. თაგუნა, ჩიტი და ძეხვი (გრიმის ზღაპარი)—თორნიკესი. მოხუცი მართა (საშობაო მოთხრობა) ფრანგულიდან—კნ. ნ. ამილახვრისა. საუბარი ცხოველებზე პოლბერისა—კოტესი. მონადირე—თ. რაზიკაშვილისა. ნარგიზი და ეხო (ოვიდიუსიდან)—ა. ყუმისთაველისა. უფრთო ცხოველები: ზღვის კიბო და ობობა—კიკოსი. წვრილმანი: ანდაზები, გამოცანები, ჩქარა გამოსათქმელი, რებუსი და სხვ. მთელი წლის სარჩევი. განცხადებები.

ამ ნომერთან ხელის მომწერთ ურიგდებათ **სურათებიან დამატების** მე-179 № (8 გვერდია), რომელშიაც მოთავსებულია: „შობა“, სურათი გურიის ცხოვრებიდან, ნინო ნაკაშიძისა; სურათები: „მადონა“, დოლჩესი; „ღვთის მშობელი“, პარიზანისა; „იხელთა“, ჰაუბახისა; „შობის დღე ზღვაში“, ბურტონისა; „შობის საჩუქრები“; „თოვლის გუნდები“, ლეგრანდისა; „კაცთა შორის მშვიდობა და სათნოება“ და ორი კარიკატურა“.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ 18 დეკემბერს ქალების საეპარქიო სასწავლებლის დარბაზში ამ ჟამად ქუთაისში მყოფ სამღვდელოების დეპუტატთა პატივსაცემლად სასწავლებლის მთავრობამ სალიტერატურო და სამუსიკო დილა გაჰმართა. პროგრამით შეასრულეს სიმღერები, წაიკითხეს რუსულ-ქართული ლექსები და სცენები. მონაწილეობას იღებდნენ თითქმის ყველა კლასის მოსწავლენი და საუცხოვოდაც შეასრულეს პროგმა: როგორც რუსული, ისე ქართული ლექსები ჩინებულად წაიკითხეს. სიმღერები მშვენივრად შეასრულეს. ქართულ ლექსების წაკითხვა მეტად მოეწონა და ხანგრძლივის ტაშის ცემით დააჯილდოვეს მეექვსე კლასის მოწაფე-ქალი წერეთლის ასული, რომელმაც საუცხოვოდ წაიკითხა ლექსი განდეგილისა „მტარვალს“. იმღერეს: „სამშობლო ხევსურისა“, „კუჩხა ბედნიერი“, „ორეროვ-რერო“, და სხვა. სულ 30 ლექსი და სიმღერა შეასრულეს. სამღვდელოება, რომლის პატივსაცემლად ეს დილა იყო გამართული, ძალიან ნაკლებად დაესწრო. არ მოისურვეს თავიანთ ქალების მოსმენა. გარეშე ხალხი-კი ბლომად დაესწრო და ისიამოვნეს კიდეც.

◆ 20 დეკემბერს ქუთაისის საურთიერთო საზოგადოების დარბაზში, ქუთაისის სასულიერო სემინარიის სასწავლებლის მასწავლებელ ბ-ნ დობრინჩეკოს ლოტბარობით,

სასულიერო კონცერტი გაიმართა მონაწილეობას იღებდნენ: სასულიერო სემინარიისა, საეპარქიო ქალთა სასწავლებლისა და სასულიერო სასწავლებლის მგალობელთა შეერთებული გუნდები, რიცხვით ას კაცამდე. შემოსავალი სასულიერო სემინარიასთან წმინ. მოციქ. ანდრია პირველწოდებულის სახელობაზე ახლად დაარსებულ ძმობის თანხის გასაძლიერებლად იყო დანიშნული. „ძმობა“ სემინარიისა და საეპარქიო სასწავლებლისა ღარიბ მოსწავლეთ დახმარებას აძლევს. კონცერტი ორ განყოფილებისაგან შესდგებოდა, რვა საგალობელი იყო. როგორც ეტყობა, ბ-ნ დობრინჩენკოს დიდი შრომა უხმარია ასის კაცის ხმების შეწყობა შეთანხმებისათვის. ეს ცხადად დაგვიმტკიცა კონცერტის ჩინებულად ჩატარებამ. კონცერტს დაესწრნენ: ბ-ნი გუბერნატორი მეუღლითურთ, ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდე და მრავალი სხვა.

◆ ტფილისის ქუჩაზე აზნ. კლიმენტი იოსელიანის სახლს ცეცხლი გაუჩნდა, მალე შეიტყეს და სახლი დაწვას გადაარჩინეს. გამომძიებელს სახლის პატრონნი ცოლ-ქმარი დაუჭერია, რადგან ეჭვი მიუტანია ცეცხლი განგებ წაუკიდესო,—ოთახებში დალვრილი ნავთი და სხვა რამეები აღმოუჩენიათ.

თეატრი

როგორც ადგილობრივი რუსული გაზეთები გადმოგვცემენ, საარტისტო საზოგადოების თეატრი მომავალ სეზონისთვის უკვე გაუციათ. აუღია თეატრი ანტრეპრენერს ვ. მეიერპოლდს, რომელსაც ეხლა დასი ხერსონში ჰყავს.

თელავი. 21 დეკემბერს საზოგადო საკრებულოს დარბაზში გაიმართა ქართულ-რუსული წარმოდგენა. წარმოადგინეს ქართულად „საძაგელი“, ხოლო რუსულად „უბედური დებიუტი“. მონაწილეობას იღებდნენ: ქ-ნნი ლ. ვახვახიშვილი, ი. ვახვახიშვილი, აჯმამუდოვი და ცირულნიკოვი. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. ამ წარმოდგენისთვის ახალი დეკორაციები იყო. როგორც გავიგეთ, კლუბში წარმოდგენის დროს არ უშვებენ უსასყიდლოდ რეცენზენტებს, რომელთაც რედაქციებისაგან მოწმობებიც კი აქვთ. **შემთხვევით რეცენზენტი**

რუსეთის ქრონიკა

◆ საზღვაო მინისტრის განკარგულებით, პეტერბურგში შემდგარა განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს საკითხი, თუ რამდენად შესაძლებელია საზღვაო უწყების ქარხნებსა, სახელოსნოებსა და ნავთ-სადგურთა საადმირალოებში მუშათა სტაროსტების შემოღება. ამასთანავე აზრადა აქვთ ამავე უწყების სამრეწველო დაწესებულებებში მომუშავეთათვის ზოგიერთ ღონისძიებათა განხორციელება.

◆ კერძო პირებისა და საზოგადოების ხარჯით დაარსებულ სასწავლებლებს მიუმართავთ რკინის გზათა უწყებისათვის შუამდგომლობით, რომ სახაზინო, საერობო და საქალაქო სასწავლებელთათვის არსებულ შეღავათიან ტარიფით სარგებლობის უფლება ჩვენს მოსწავლეებსაც მიეცითო, მაგრამ შუამდგომლობა არ შეუწყნარებიათ.

◆ როგორც „ნოვოე ვრემია“-ს ატყობინებენ თურქესტანიდან, ფერგანის ოლქში ნავთი აღმოჩენილა. ნამანგანის მაზრაში 78½ საჟენის სიღრმიდან ამოუხეთქავს ნავთის შადრევანს.

◆ იურიევის მაზრაში აღმოუჩენიათ სექტანტები, რომელნიც თავის თავს „თავისუფალ მორწმუნედ“ აღიარებენ. უარს ჰყოფენ ხორცისა და რძის ჭამას და მაგარ სასმელების ხმარებას; უარს ჰყოფენ ყოველ გვარ საიდუმლოს, რის გამო შვილებს არ ნათლავენ და ფიცს არ ღებულობენ, აგრეთვე გაურბიან სახელმწიფო სამსახურის აღსრულებას. ეს ახალი მოძღვრება, როგორც გაზეთი გადმოგვცემს, განსაკუთრებით ქალთა შორის ვრცელდება („ნოვ. ვრ.“).

◆ „ჩერნ. პობ.“ იუწყება: ნოვოროსისკში პოლიციელთ უნდოდათ შეეპყრათ ოფიცერი ტრაქტირში ჩადენილ უწესოებისათვის, მაგრამ ოფიცერს დაუწყია რევოლვერის სროლა და ერთი პოლიციელი მოუკლავს და ერთიც დაუჭრია.

◆ როგორც ოდესის გაზეთები გადმოგვცემენ, ოდესაში დიდ გაჭირვებაში ყოფილა იქაური მუშა ხალხი. თუ რამდენად დიდია ეს გაჭირვება, ნათლადა სჩანს შემდეგ ფაქტიდან: მარტო ერთს კომიტეტს ღარიბთა დამხმარე საზოგადოებისას მისვლია თხოვნა ორი ათასი ოჯახისაგან. თხოვნებში აწერილია მათი უმწეო მდგომარეობა და სთხოვენ კომიტეტს პურსა და ნახშირს.

სასამართლო

I

22 დეკემბერს ტფილისის ოლქის სასამართლოში განსახილველად დანიშნული იყო საქმე ბელგიის უსახელო საზოგადოების ტფილისის კონტორის კასირად ნამყოფის ჰენრიხ პოლ ბერლუმონისა, რომელსაც საზოგადოების 6187 მან. გაფლანგვა ჰბრალდებოდა. სასამართლოში არ გამოცხადდნენ მოწმენი ალფონს რობი, მარიამ რობი და ექსპერტები. რადგან სასამართლომ ამათი ჩვენება საქმისთვის ძლიერ საჭიროდ სცნო, ამიტომ საქმის განხილვა გადასდო სხვა დროისათვის.

II

ამ ორი დღის წინად ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე ივანე ნანობაშვილისა, რომელსაც ქალის მოტაცება ჰბრალდებოდა. ოლქის სასამართლოს დამნაშედ უცვნია ნანობაშვილი და გადაუწყვეტია ზოგიერთ უფლების ჩამორთმევა და 8 თვით საპატიმროში დატუსაღება. პალატამ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

III

ტფილისის სამოსამართლო პალატაში 23 დეკემბერს, სხვათა შორის, განსახილველად დანიშნული იყო საქმე ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთა მარიამ დათეშიძისა, ამბაკო ბერეკაშვილისა და იაკობ ბრეგვაძისა, რომელთაც სახლის გადაწვა ჰბრალდებოდათ. ოლქის სასამართლოს დამნაშავედ უცვნია ბრალდებულნი და გადაუწყვეტია ყოველისავე უფლება-ღირსების ჩამორთმევა და კატორგაში 6 წლით გაგზავნა. პალატამ ამ საქმის განხილვა ამ დღეს ვერ მოასწრო და სხვა დროსათვის გადასდო.

დაბა-სოფლები

ჭიათურა (იმერეთი). 20 დეკემბერს სათეატრო დარბაზში მოხდა კრება, ჭიათურის სამარხ კასის გამგეობის ასარჩევად. ამას წინად ბ-ნმა პ. ცაგარეიშვილმა გაჰგზავნა წესდება შინაგან საქმეთა სამინისტროში დასამტკიცებლად და წასულ თვეში უკვე მიიღო დამტკიცებული. კასას აზრადა აქვს ხელი გაუმართოს გარდაცვალებულის ოჯახს და გასასვენებელი ხარჯი აღუდგინოს. გარდაცვალებულის ჭირისუფალი მიიღებს კასიდან 500 მანეთს დღიდან გარდაცვალებისა 24 საათში. პირველად საწევრო ფული, კასაში შესატანი, 2 მანეთია და გადასახურავი, მომავალ წევრის გარდაცვალებისა, 1 მან. 25 კაპეიკი. სულ—3 მან. და 25 კაპ. ჯერ-ჯერობით 150 მდის წევრია და მსურველიც დღითი-დღე მატულობს. კრებას დაესწრო 55 წევრი. გამგეობის წევრებად აირჩიეს: ბ-ნი პავლე ცაგარეიშვილი, კ. მოდებაძე და ი. ანთაძე. იმათ კანდიდატებად: ძ. ლომაძე. ვლ. გორგაძე და მ. ჭანიშვილი. სარევიზიო კომისიის წევრებად: ნ. წერეთელი, მღ. ლავრენტი დევიძე და ი. ბელიაშვილი. ეხლა კასის ბედ-იღბალი გამგეობაზედ არის დამყარებული. იმედია, იგი კარგად წაუძღვება ამ სასარგებლო საქმეს. ამ საქმის ინიციატორი იყო პავლე ცაგარეიშვილი.

ლადო გუბელი

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

23 დეკემბერი

ტუნისი. კრეისერი „ავრორა“ პირეის ნავთსადგურს გაემგზავრა საბერძნეთის დედოფლის შესახვედრად. ხუთი ზღვაზე მავალი კანონირი—ნავი ამ ჟამად მალტას დოკში იმყოფება. კრეისერი „დმიტრი დონსკოი“ და საგანგებო ჯავშნიანი გემი „ოსლიაბია“ „ავრორა“-სთან ერთად უნდა წასულიყვნენ პირეის, მაგრამ ადმირალმა ვირენიუსმა მიიღო ბრძანება, ახალ განკარგულებას ელოდეთო. ჰფიქრობენ, მთელი რუსეთის ესკადრა კვირის ბოლოს სუეცის არხისაკენ წავაო.

ტოკიო. აქ ხმა გავრცელდა, რომ რუსეთისაგან 20 დეკემბერს მიღებული პასუხი ვერ არის დამაკმაყოფილებელი, მაგრამ ამ ხმის დამამტკიცებელი საბუთი არა გვაქვს. საქმის კარგად მცოდნე წრეები ჰფიქრობენ, რომ რუსეთის მთავრობა სრულიად დამორჩილებული ჰყავს რუსების იმ პარტიას, რომელიც ომს თხოულობს, ამის გამო აქ არ მოელიან რუსეთისაგან სასურველ პასუხს.

ახალ წლის უქმეების შემდეგ—ოთხს იანვარს ტოკიოს ბირჟაზე საშინლად დაეცა კურსი; ბევრი მაკლერი გაკოტრდა.—

ვლადივოსტოკში დღედაღამ მოდის რუსეთის ახალ-ახალი ჯარი. ამ ქალაქის მცხოვრებნი ძლიერ აღელვებულნი და შეშინებულნი არიან, რადგან არ იციან, საქმე როგორც წავა.

გაზეთები სხვა-და-სხვა აზრისანი არიან საქმის მდგომარეობის შესახებ; იმ დროს, როდესაც პრესის ერთი ნაწილი ცდილობს პასუხში რუსეთის მშვიდობიანობის სხივი დაინახოს, მეორე ნაწილი პრესისა ჰფიქრობს, რომ რუსეთი გაურბის პირდაპირ პასუხს, რათა უთანხმოების პასუხისგება იაპონიას თავს მოახვიოსო.

ახალი მარგელანი. ნამანგანის მაზრაში სახელმწიფო მიწაზე ცხრა საჟენის სიღრმიდან ნავთის შადრევანმა ამოხეთქა.

გორბატოვი. სიფხიზლის კომიტეტმა დაადგინა, აღძრათ შუამდგომლობა სახალხო სახლის აგების შესახებო.

გიბრალტარი. რუსეთის სამხედრო გემმა და ნაღმიანმა პატარა გემმა სრუტე გაიარეს და დასავლეთისაკენ მიდიან.

კარდიფი. უმეტესი ნაწილი იაპონიის მიერ შეკვეთილ ქვა-ნახშირისა—80 ათასი ტონა—თანახმად პირობისა, იანვარში უნდა იქმნას ჩაბარებული.

ვაშინგტონი. ხაზინის სტატს სეკრეტარმა შაუმ პალატას წინადადება წარუდგინა იმის შესახებ, რომ მუკდენში უმთავრესი საკონსულო დაარსდეს, ხოლო ანტუნგში ჩვეულებრივი საკონსულო.

სოფია (ოპოზიციის წრეებიდან). საერო კრებამ, რომელიც 25 დეკემბრამდე არ უნდა შეწყვეტილიყო, დღეს შესწყვიტა სხდომები 5 იანვრამდე. მესამედ წაკითხვის შემდეგ მიღებულ იქმნა კანონი საყოველთაო ამნისტიისა ყოველგვარ პოლიტიკურ დანაშაულობისათვის, რაიც 1897 წლიდან დღემდე ჩაუდენიათ, კანონი ბეჭდვისა, კანონი სპეციალურ ამნისტიისა იმ დანაშაულობათათვის, რაიც თეოდორე ივანჩევის კაბინეტის მინისტრების წინააღმდეგ ჩაუდენიათ, კანონი, რომლის ძალით მინისტრები პასუხისმგებლები იქმნებიან კონსტიტუციის დარღვევისათვის, ხოლო ჩვეულებრივ კანონის დარღვევისათვის ისინი პასუხს არ აგებენ არც სამოქალაქო და არც სისხლის სამართლის წინ.

ლონდონი. იაპონის ელჩმა განაცხადა: მართალია პეტერბურგიდან მოსული ცნობა, რომ ადმირალმა ალექსეევმა რუსეთის მთავრობისაგან მიიღო ინსტრუქცია რუსეთის პასუხის შესახებ იაპონიის ნოტაზე, მაგრამ ამით საქმის მდგომარეობა სრულებით არ იცვლებაო; იაპონია მტკიცედა დგას და ცოტაოდენსაც არ დასთმობს თავის მხრივ. თუ რუსეთი იაპონიის მოთხოვნილებას არ დასთანხმდება, მაშინ იაპონია შორეულ-აღმოსავლეთში ისეთს ღონის-ძიებათ მიიღებს, რომელსაც სამართლიანად სთვლის. ასეთი ჯიუტობა არ შეეფერება ელჩის ნამდვილ აზრს.

ტოკიო. დიდის ფაცა-ფუცით ემზადებიან, რომ გემებში ორი დივიზია ჩასხან. ჰფიქრობენ, ეს ორი დივიზია დანიშნულია კორეის ნავთსადგურებში წესიერების აღსადგენადაო.

ტულონი. როგორც ხმა დადის, გემების დივიზია, კრეისერებისაგან—„კლებერ“, „დეზე“ და „ადმირალ პად“-საგან შემდგარი, რომელიც ამ ჟამად ტულონს მიემგზავრება, აქ მოსვლისთანავე მიიღებს ბრძანებას, შორეულ-აღმოსავლეთს გაემგზავრეო. გემი „სუფრენ“-იც უსათუოდ ამ დივიზიას შეუერთდება.

რომი. სამხედრო მინისტრმა გემებს „მარსო“, „პოლო“, „დოგალი“ და „უმბრია“-ს უბრძანა, აღმოსავლეთ აზიის ზღვაში გაემგზავრეთო; იქ უკვე იმყოფებიან „ვიტტორ“, „პიზანი“, „პიემონტე“ და „ელბა“.

პეკინი. ჰფიქრობენ, იაპონიამ პასუხი მიიღო რუსეთისაგანაო.

მალტა. რუსეთის ხუთი ნაღმიანი გემი შორეულ-აღმოსავლეთს წავიდა.

სტამბოლი. იტალიის საელჩომ შეატყობინა პორტას, დივიზიის გენერალი ჯიორჯი მაკედონიის ჟანდარმერიის უფროსად აარჩიესო.

პორტ-არტური. მოკპოში დღესაც უწესოება ხდება. იაპონელებმა ბევრი მუშა მოიყვანეს და კორეელები უსაქმოდ დარჩნენ, ამის გამო ისევ უწესოება ხდება. ხმა დადის, იაპონელებს კორეაში უწესოების მოხდენა ჰსურთ იმ აზრით, რომ ეს უწესოება საბუთად გამოიყენონ და ჩემულპოში ჯარი გაჰგზავნონ.

ჩემულპო. ინგლისის კრეისერი მოვიდა და ჯარის გადმოყვანას აპირებს.

სეული. მანჯურიის საქმის გამო ჩინეთში გაძლიერებული აგიტაცია გამართეს რუსეთის წინააღმდეგ. აგიტაციას იაპონელები უწევენ ხელმძღვანელობას.—სამშობლოში მიმავალი ლამა ტალიენვანში ჩამოხტა და ყაზახ-ბურიატებისთვის სწირა.—მანჯურიის სამთა-მადნო ამხანაგობის თაობაზე „ნოვი კრაი“ სწერს: ძლიერ სამწუხარო იქნება, რომ ეს საქმე დასაწყისშივე მოისპოსო.

24 დეკემბერი

არდატამი. სახალხო სახლში ფიზიკასა და ქიმიაზე ლექციების კითხვა დაიწყეს.

ვლადივოსტოკი. მუკდენიდან მივიღეთ ცნობა, კორეაში იაპონელებსა და კორეელებს შორის მომხდარ შეტაკებისა გამო; ჩვენი ინტერესების დასაცველად კორეას გაიგზავნა მთელი მეორე მსროლელთა პოლკი.

ტოკიო. ოფიციალურად აღკრძალეს გამოქვეყნება ყოველგვარ ცნობებისა, რომელნიც ჯარისა და სამხედრო გემების მოძრაობას შეეხებიან.

ვაშინგტონი. მინისტრთა საბჭო დღევანდელ სხდომაზე თათბირობდა მხოლოდ შორეულ-აღმოსავლეთის საქმის მდგომარეობის თაობაზე.

ამერიკის სამხედრო გემის უფროსი ვიკსბურგი ჩემულპოდან დეპეშით იტყობინება, მე მქონდა თათბირი ამერიკის ელჩთან და ერთხმად იმ აზრს დავადექით, რომ სეულში საქმის მდგომარეობა ძლიერ სერიოზულია; რადგან მოსალოდნელია კორეელ ჯარის-კაცთა აჯანყება, ამიტომ იქ 40 მეზღვაური ჯარის-კაცი გავგზავნე.

სტამბოლი. მაკედონიის ჟანდარმერიის მთავარ უფროსთან დანიშნული ოთხი ოფიცერი ოსმალეთის სამსახურში არ ჩაირიცხება და ჯამაგირს თავიანთ მთავრობათაგან მიიღებს და არა სულთანისაგან.

ტოკიო. ვლადივოსტოკიდან ხმები მოდის, რომ რუსეთის ესკადრა საომრად ემზადებაო. მეორე ცნობაა, რომ პორტ-არტურიდან გავიდა რუსეთის კრეისერი მცირეოდენის ხმელეთზე გადასაყვან ჯარით; თუ სად გადასხამენ ჯარს, არ იციან, მაგრამ ჰფიქრობენ, რომ, ალბად, ჩემულპოში გადასხამენო.

ბიზერტა. „დიმიტრი დონსკოი“ ორის კანონირ ნავით წავიდა სუდას ბოღაზში.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

სადღესასწაულოდ

ქართველ ქალთა ამხანაგობის სამკერვალოს გამგეობა მიჰმართავს ქართველ ქველმომქმედთ, ვაჭართ და **ბედნიერ** ქართველ ბავშვებს განსაკუთრებით, ხელი გაუწვდინონ და დაეხმარნენ საახალწლოთ მათ სახელოსნოს ღარიბ და ობოლ შაგირდებს რითაც კი შეიძლებენ: ფულით, ხილეულობით, ხორაგით, ტანთსაცმელით, ფეხსაცმელით (თუნდ ნახმარიც იყვეს), სათამაშოებით. ყოველგვარ შეწირულობას მიიღებს, ბავშთა გასანაწილებლად, გამგე საზოგადოების საქმეებისა ეკატერინე გაბაშვილისა. ვერა, მოსკოვის ქუჩა № 6. (3—1)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვითა და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

ამერიკულ ვაზის სანერგეში

კლო-უგურულში

დაიწყო გაყიდვა **დამყნილ** დაფესვიანებულ ვაზებისა. იყიდება აგრეთვე **ვაზის რქები** საუკეთესო ჯიშისა, როგორც ადგილობრივი, ისე ბორდოსი, ბურგუნდისა, შამპანიისა, რეინისა და სხვა. მრავლად არის როგორც რქა, ისე დაფესვიანებული გიბრიდი, აგრეთვე ამერიკული ჯიშები სამყნობად და დედა ვაზისთვის, მშრალ, ნოტიო, მაგარ, მძიმე და სხვა ნიადაგისთვის. სანერგეში 700 სხვა-და-სხვა ჯიშის ვაზია. პრეისკურანტები და ახსნა უსასყიდლოდ. ადრესი წერილებისა და დეპეშებისათვის. В. Тьебо Кутаисъ. (10—6.—8)

გამოცდილი

მასწავლებელი,

ფრანგულისა და გერმანულის მცოდნე, **ამზადებს მოსწავლეთ** საშუალო სასწავლებლებისათვის. ადრესი რედაქციაში. (0—15)

Дозв. ценз. Тифлисъ 24 декабря 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხ—ისა, (Электропеч. Груз. Издат. Т—ва